

II თავი. საქართველო IV - XI საუკუნეებში

V თემა. საქართველო XI საუკუნეში

§1. საქართველოს გაერთიანების დასაწყისი

საქართველოს სამეფო სამთავროებმა, როგორც უკვე იცით, იმთავითვე დაიწყეს ზრუნვა ტერიტორიისა და გავლენის გაფართოებაზე. მათი ბრძოლა პირველობისათვის, დროთა განმავლობაში, საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართულ, მტკიცე პოლიტიკურ კურსად ჩამოყალიბდა.

წყარო 1

„საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება იყო. საერთო-ეკონომიკური აღმავლობა, კერძოდ, ცალკეული რაიონების დაწინაურება მეურნეობის სხვადასხვა დარგში, დღის წესრიგში აყენებდა ქვეყნის გაერთიანების საკითხს.

...ქვეყნის გაერთიანების... აუცილებელი პირობა იყო ისეთი დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა, რომელიც შეძლებდა... სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ინტერესების ერთი მიზნისაკენ მიმართვას. ასეთი ფაქტორის როლში კი ამ დროს საქართველოს ისტორიაში საგარეო საშიშროების საფრთხე გამოდიოდა“.

მ. ლორთქიფანიძე.

კითხვა

შენი აზრით, კიდევ რა ფაქტორები უწყობენ ხელს ქვეყნის გაერთიანებას?

საქართველოს გაერთიანების ინიციატორად და სულისჩამდგმელად იოანე მარუშისძე გვევლინება:

წყარო 2

„იყო მათ ჟამსა შინა ერისთავი ქართლისა* იოანე მარუშის ძე, კაცი ძლიერი და ენამრავალი. ამან წარავლინა მოციქული წინაშე დავით კურაპალატისა (ტაო კლარჯეთის მეფე), აწვია, რათა მოილაშქროს ძალითა თვისითა ქართლი... უბოძოს ბაგრატს, ძესა გურგენისასა, ასულის წულსა აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა (ეკუთვნოდა) დედულად აფხაზეთი და ქართლი ესევე;

...რამეთუ არა ესვა შვილი დავით კურაპალატსა... ბაგრატ გაეზარდა შვილად თვისად.

...იოანე მარუშის ძე ეძებდა (მოიაზრებდა) ბაგრატს მეფედ.

მოვიდა დავით კურაპალატი, მოეგება წინა ქართლის ერისთავი იოანე მარუშისძე... (დავითმა) შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა:

– ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი ჩემი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი ამისი და ამას დაემორჩილენით ყოველნი.

...და წარვიდა ტაოს“ (975 წ.).

ბაგრატის ქართლში გამეფების შემდეგ „გარდახდეს წელიწადი სამი. მეფობდა აფხაზეთს თეოდოსი (ბაგრატის უსინათლო ბიძა). განირყვნა ქვეყანა იგი და შეიკვალა ყოველი წესი“.

იოანე მარუშისძემ იწინააღმდეგებდა, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა. ...გამოითხოვეს ბაგრატ მეფედ დავით კურაპალატისაგან;... შთაიყვანეს იგი აფხაზეთს, დალოცეს მეფედ (973 წ.)“.

„მატიანე ქართლისაი“.

***შენიშვნა:** ქართლისათვის ბრძოლა გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა ქართველ მეფე-მთავართა შორის, აფხაზთა მეფეებმა მოახერხეს ქართლის ნაწილის დაპყრობა, იოანე მარუშისძე სწორედ მათ მიერ იყო ერისთავად დანიშნული.



სურ. 2.5.1.1. ბაგრატ III.

კითხვები

1. წყარო 2-ის მიხედვით ჩამოთვალე ის სამფლობელოები, რომლებიც ბაგრატს მემკვიდრეობით უნდა რეგებოდა.
2. როგორ ფიქრობ, გამორიცხავდა თუ არა ბაგრატის მემკვიდრეობითობის დაკანონება მის წინააღმდეგ ფეოდალთა გამოსვლებს?
3. ისაუბრე, რამდენად ტიპურია იოანე მარუშისძის, როგორც დიდგვაროვანი ფეოდალის, მოქმედება.

ეს საინტერესოა:

იოანე მარუშისძეს თავისი გეგმის განხორციელებაში მოკავშირედ დავით კურაპალატი შემთხვევით არ აურჩევია – „ესე დავით უმეტეს განდიდნა ყოველთა მეფეთა ტაოსთა“.

976 წელს მცირე აზიელი დიდგვაროვანი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი დიდ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მან გარშემო შემოიკრიბა ბიზანტიის კეისრის ხელისუფლებით უკმაყოფილო ძალები, სულ რამდენიმე კვირაში აზიის მბრძანებელად იქცა და კონსტანტინოპოლს დაემუქრა...

წყარო 3

„მათ ჟამსა შინა განუდგა ბერძენთა სკლიაროსი... და ყოველი დაიპყრა, მეფენი და დედოფალი შეწყვედულ ყვნა ქალაქსა შინა დიდითა ჭირითა; ამას რა შინა იყვნეს, განიზრახეს, ვითარმედ:

– ჩვენი შემწე დავით კურაპალატისაგან კიდე (გარდა) არავინ არს.

... დაწერეს წიგნები ვედრებისა და წარმოგზავნეს ქართველი თორნიკე (ერისთავი, რომელიც იმ დროისათვის ათონის მონასტერში მოღვაწეობდა) დავით კურაპალატის თანა, რათა შემწე ეყოს მათ“.

კურაპალატმან ფრიად განიზარა და

„... განზრახვა ქმნეს რათა ლაშქარნი წარგზავნეს საბერძნეთს და სპასალარად თორნიკე განაჩინეს... მაშინ მისცეს მეფემან ბერძენთამან ზემონი ქვეყანანი საბერძნეთისანი, რათა თავის სიცოცხლეში აქვნდეს (მართავდეს).

... მისცა კურაპალატმან თორმეტი ათასი მხედარი რჩეული... და აოტა (გააქცია) სკლიაროსი.“

„მატიანე ქართლისაი“.

წყარო 4

„ფოკა (ბერძენი დიდებული, სამეფო კარის მხარდამჭერი) რაც შეეძლო სწრაფად გაემართა იბერიაში, მივიდა იბერთა არქონტთან დავითთან და სთხოვა მას დამხმარე ჯარი, იმანაც სიამოვნებით აღუთქვა დახმარება, ფოკამ წამოიყვანა იქიდან ხალხი არა მცირე, შეკრიბა თავისი ჯარიც, და ჩავიდა პანკალიაში სადაც სკლიაროსი იყო დაბანაკებული“.

გიორგი კელერნე, ბიზანტიელი ისტორიკოსი.

წყარო 5

„ათონის ბერი თორნიკე, ბიზანტიის მეფეთა მიერ გაიგზავნა დავით კურაპალატთან: დაგვეხმარე ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ ბრძოლაში და მთელი ნადავლი თქვენი იქნება, გარდა ამისა იბერიას ვადაეცემა შემდეგი ადგილები: ხალტოიარიჭი, კლესურა, ბასიანი, ციხე სეგუგი... ბასილი კეისარმა ეს მიწები მართლაც გადასცა დავით კურაპალატს“.

ასოლიკი, სომეხი ისტორიკოსი.

დავალბა 1

1. შენი აზრით, რამ განაპირობა დავით კურაპალატის მიერ ბიზანტიისათვის დახმარების გაწევა?
2. როგორ ფიქრობ, რით აიხსნება წყაროებში ქართველი მოღვაწეების როლის განსხვავებულად წარმოჩენა?
3. წყაროების (4-ის და 5-ის) რომელი მონაცემები მიგაჩნია გაზვიადებულად და რატომ?

ბაგრატ III (975-1014 წწ.) გამეფებისთანავე შეუდგა რიგი ღონისძიებების გატარებას:

წყარო 6

პირველ რიგში, „გამოგზავნა თეოდოსი მეფე ტაოს, წინაშე დავით კურაპალატისა, რათა ყოველთა კაცთა, დიდთა და მცირეთა, სასოება, ... შიში მის (ბაგრატის) მიმართ აქვნდეთ.“

„შემდგომად ამისა გარდამოვიდა ქართლს, რათა განაგოს საქმენი ქართლისანი, ხოლო აზნაურთა... რომელთა არა უნდოდათ გარდამოსვლა მისი, რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა, იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი და მოეგებნეს ბრძოლად... შეიბნენ.“ გამარჯვება ბაგრატს დარჩა და „ვითარცა ხელოვანმან განაგო ყოველი საქმე – ამხილის ურჩთა და მისა ადგილსა განადიდის ერთგული და მისანდობელი თვისი (980 წ.)“.

„ქართლის ცხოვრება“.

წყარო 7

„იყო მას ჟამსა ერისთავად კლდეკართა რატი,... არა მორჩილებდა მეფესა. შეკრიბა სპა თვისი ყოველი ბაგრატ მეფემან,... ენება შეპყრობა რატისა“.

კლდეკარის ერისთავის მომხრეებმა დაარწმუნეს დავით კურაპალატი, თითქოს ბაგრატი ტაოში გალაშქრებას და მამობილის შეპყრობას აპირებდა.

„შეკაზმულ იყო გურგენ, მამა ბაგრატისი, მისვლად შეილისა მისისა თანა. დავით კურაპალატი წამოვიდა მსწრაფლ, მოუწოდა ლაშქარსა თვისსა მიეგებეს წინა გურგენს, შეიბნეს და გააქციეს. ...ბაგრატ ...იხილა, ძალითა არა ეგებოდა წინააღმდეგა დავით კურაპალატისა, დაუტევა სპანი თვისნი და მარტო მივიდა წინაშე მისა. ითხოვა შენდობა და აუწყა: მოვედ... მორჩილებისათვის რატისა.

ხოლო მან (დავით კურაპალატმა) უბრძანა ესრეთ:

მითხრეს, სიკვდილად ჩემდა გამოსულ იყავ, აწ ვსცან... უბრალო ხარ. მითავისუფლებიხარ რატის ზედა: დაიმორჩილე ვითარცა გწადიან“.

„ქართლის ცხოვრება“.



სურ. 2.5.1.3. დავით III კურაპალატი

რის შემდეგაც ბაგრატმა მოულოდნელად დალაშქრა კლდეკარის ციხე და რატი დაიმორჩილა. (989 წ.)

წყარო 8

ბაგრატმა „დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი“ (1008-1010 წწ.).

„ბაგრატ კურაპალატმან მოიყვანა ორნი ძმანი, კლარჯთა ხელმწიფენი, სუმბატ და გურგენ... მამის დისწულნი, დარბაზობად (სტუმრად) ციხესა შინა ფანასკერტისასა... შეიპყრნა ივინი და აღიხვნა ციხენი და ქალაქნი მათნი. ციხესა შინა გარდაიცვალნეს სუმბატ და გურგენ“.

„ქართლის ცხოვრება“.

დავალება 2

1. წყარო 6-ზე, 7-სა და 8-ზე დაყრდნობით განსაზღვრე, რატომ ითვლება ბაგრატ III ერთიანი საქართველოს მეფედ.
2. როგორ ფიქრობ, რას ისახავდა მიზნად ბაგრატ კურაპალატის მიერ გატარებული ღონისძიებები?
3. რა ღონისძიებებს მიმართავდა ბაგრატ III პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად? რომელი მათგანია, შენი აზრით, ყველაზე ეფექტური? ყველაზე მისაღები?
4. როგორ ფიქრობ, გადაჭარბებულია თუ მართებული ბაგრატის III მემკვიდრისეული შეფასება: „შემდგომად დიდისა მეფისა ვახტანგ გორგასლისა არავინ გამოჩენილ არს სხვა მსგავსი მისი დიდებითა, ...ძალითა, ... გონებითა“?

ეს საინტერესოა:

❖ საგულისხმოა რომ ჯერ კიდევ IX საუკუნეში მოსახლეობის ღარიბ და უძღურ ნაწილზე ზრუნვა სახელმწიფოს მოვალეობად იყო მიჩნეული. ბაგრატ კურაპალატს მათ სასარგებლოდ განსაკუთრებული გადასახადი – „გლახაკთა ნაწილი“ დაუწესებია.

❖ ბაღვაშთა საგვარეულო თრიალეთში IX საუკუნის მიწურულს ჩამოსახლდა არგვეთიდან, სადაც თვითნებობისაკენ სწრაფვამ აფხაზეთის მეფესთან დამოკიდებულება გაურთულა. ლიპარიტმა თრიალეთის ქედის უღელტეხილზე, სადაც ქართლიდან ჯავახეთისკენ მიმავალი გზა გადიოდა, კლდეკარის ციხე ააგო. თრიალეთი აშოტ კურაპალატის ძის გვარამ მამფალის საკუთრებად ითვლებოდა, მაგრამ ლიპარიტს მამფალის ძმისშვილი დავითი მფარველობდა, რომელსაც ბაღვაშთა საგვარეულოზე დაყრდნობით ბიძის გავლენის შესუსტება სურდა.



სურ. 2.5.1.4. ბაგრატის ტაძარი

დამოუკიდებელი სამუშაო

1. წყარო 7-ის იმ ნაწილს, სადაც საუბარია დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის დაპირისპირებაზე, ისტორიკოსები განსხვავებულად აფასებენ. ნაწილი მიიჩნევს, რომ განხეთქილება ლიპარიტ ბაღვაშის მიერ

საქართველო XI საუკუნეებში

საქართველოს გაერთიანების ისტორიის დეტალები

იყო პროვოცირებული, ხოლო მეორე ნაწილი დავით კურაპალატის წინააღმდეგ გალაშქრებას ბაგრატის პოლიტიკური კურსის ნაწილად თვლის.

ყურადღებით შეისწავლე და გააანალიზე წყარო, დააკვირდი ბაგრატის პოლიტიკურ კურსს და წერილობით ჩამოაყალიბე შენი შეხედულება დასმული პრობლემის შესახებ.

2. წარმოიდგინე თავი მემატეანის ადგილას და შეაფასე ბაგრატ III, როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი.

§2. ბიზანტიურ-ქართული ურთიერთობები გიორგი I-ის მეფობის დროს

სახალიფოს გავლენის შესუსტების შემდეგ საქართველოს საგარეო პოლიტიკაში მწვავედ დადგა ბიზანტიასთან ურთიერთობის საკითხი. ბიზანტიის მფარველობა, რაც ერთ დროს არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი მეფე-მთავრებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, დღითი დღე მიუღებელი და თავსმოხვეული ხდებოდა.

ბიზანტიის მფარველობითი დამოკიდებულება ბაგრატიონთა ტიტულატურაშიც თვალსაჩინოდ აისახა. მათი უმრავლესობა მაგისტროსი, ანტიპატოსი ან პატრიკიოსი იყო. კურაპალატი ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულატურაში უმაღლესად ითვლებოდა. კეისარი კურაპალატობას ფრანგ, ბურგუნდიელ და სხვა ევროპელ მეფეებსაც ანიჭებდა, მაგრამ საქართველოში მან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და მეფობასთან გაიგივდა:

წყარო 1

„ბაგრატ, აფხაზთა მეფე და ქართველთა კურაპალატი“.

„ძებნა პატივისა კურაპალატობისა ... არს ჩვეულება და წესი (ბაგრატიონთა) სახლისა“.

„მოსცა ბასილი მეფემან პატივად გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალატობა“.

„მატიანე ქართლისაი“.

წყარო 2

„საზოგადოდ ბიზანტიის მთავრობა ცნობილია მედიდურობით. თავის მიწერ-მოწერაში ყოველთვის ცდილობდა მეზობელი მფლობელებისათვის, რომელნიც თავიანთ ქვეყანაშია და ყველგანაც მეფეებად ითვლებოდნენ, მეფის სახელი არ ეწოდებინა. ქართველთა და სომეხთა მეფეების შესახებაც ამ ხანის ბიზანტიელი მწერლები არასდროს არა ხმარობენ სახელწოდებას მეფე („ბასილევს“), არამედ მხოლოდ ან მთავარი (არხონ) ან არა და ექსუსიასტეს, ესე იგი „მფლობელი“-ო. სომეხთა მეფეებს ბერძნები უწოდებდნენ „არხონტეს არხონტონ“, რაც უდრის ერისთავთ ერისთავს ანუ სომხურ „იშხანაც იშხან“. საქართველოს მეფეთაგან კი მხოლოდ აფხაზთა მეფე გახადეს ღირსი „ექსუსიასტეს“-ის სახელწოდებისა, მესხეთის მთავარს მარტივად „არხონს“ უძახდნენ“.

ივ. ჯავახიშვილი

წყარო 3

„ბიზანტიის საერთაშორისო დამოკიდებულებაში წესად იყო მიღებული, რომ კეისრის ეპისტოლეები მოყმე სამეფოებისა, მეფეებისა და მთავრებისადმი ბრძანებად (კელეუსეის) ითვლებოდნენ და იწოდებოდნენ.“
ალფრედ რამბო, ფრანგი მეცნიერი.

წყარო 4

„პატრიკიოსმა აშოტ კისკასმა გურგენ მაგისტროსის (ქართველი მთავრები) მტრობით არტანუჯის ციხე რომანოზ კეისარს გადასცა. კეისრის მოციქულმა ციხე ჩაიბარა, ციხის ზღუდეზე კეისრის დროშა ააფრიალა. არტანუჯის ბერძენთა ხელში გადასვლის ამბავი ... საქართველოს სწრაფად მოედო. ყველა აღშფოთებული იყო ბერძენთა კადნიერებით. გურგენ მაგისტროსმა და ... დავით მაგისტროსმა კეისარს სასწრაფოდ წერილი გაუგზავნეს და მუქარა შეუთვალეს: თუ თქვენ... საქართველოს შუაგულში შემოიჭრებით, იცოდეთ, რომ ჩვენ თქვენი ყმობისაგან გამოვალთ და სარკინოზებს მივემხრობით; ... კეისარმა ქართველ მთავრებს შემოუთვალა: არა ვიცოდი რა, ჩემდა დაუკითხავად მომხდარა ეს ამბავი, მსგავსი არა მიბრძანებია რა ჩემი მოხელისთვის. ... მოხელეს ბრძანება გამოუგზავნა; ციხე ადარნასე კურაპალატის შვილს აშოტს გადაეცი და მისთვის კურაპალატობაც მიმინიჭებიაო...“

კონსტანტინე პოროფინოვენტი

დავლება 1

წყარო 1-ის, 2-ის, 3-ისა და 4-ის მიხედვით:

1. როგორ ფიქრობ, რატომ ეძიებდნენ ქართველი მეფეები ბიზანტიელ კარისკაცთა ხარისხებს და რამდენად რეალურად ასრულებდნენ ისინი კარისკაცის მოვალეობას?
2. როგორ ფიქრობ, რატომ არ აღიარებდნენ ბიზანტიელი კეისრები და ისტორიკოსები ქართველ მმართველებს მეფეებად, მაშინ, როცა მათი წინამორბედი მემკვიდრეები (პროკოფი კესარიელი, აგათიასი) იბერთა და ლაზთა მეფეებს „ბაზილევს“-ებად იხსენიებდნენ?
3. წყაროების მიხედვით განსაზღვრე საქართველოს დამოკიდებულება ბიზანტიის მიმართ.



სურ. 2.5.2.1. ბასილი II

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა განსაკუთრებით დაიძაბა ბაგრატის III-ის ძის, გიორგი I-ის მეფობისას (1014-1027 წწ.).

როგორც ვიცით, დავით კურაპალატმა ბარდა სკლიაროსის დახმარების სანაცვლოდ საქართველოს სამხრეთით მდებარე ბიზანტიური სამფლობელოები მიიღო, რომლითაც სიცოცხლის ბოლომდე უნდა ესარგებლა; ისტორიკოსების ვარაუდით, დავითს ამგვარი დროებითი მფლობელობა არ აკმაყოფილებდა, სწორედ ამიტომ 987წ. კეისრის წინააღმდეგ აჯანყებულ ფეოდალს, ბარდა ფოკას დაუჭირა მხარი. კეისარმა შეამბოხებებს სძლია და დავით კურაპალატის წინააღმდეგ გამოილაშქრა (990წ.). დავითი იძულებული გახდა დამორჩილებულიყო და კეისრისათვის აღეთქვა, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სამფლობელო ანდერძით ბიზანტიას გადაეცემოდა: „ვითარ მოკვდა მეფე დავითი გამოვიდა ბასილი, ბერძენთა მეფე, ...და დაიპყრა მამული დავით კურაპალატისა.“

როგორც ჩანს, გიორგი I-მა გამეფებისთანავე დაისახა მიზნად დავით კურაპალატის მემკვიდრეობის დაბრუნება. ისარგებლა ბიზანტია-ბულგარეთს შორის ურთიერთობის გართულებით და სადავო ტერიტორია დაიკავა. 1016

წ. ბასილი II-ემ ბულგარელთა წინააღმდეგობა დაძლია და აღმოსავლეთ საზღვრებისათვის მოიცალა.

წყარო 5

„თვითმპყრობელმა მეფე ბასილიმ ასეთი ბრძანება მოსწერა გიორგის: „კურაპალატის... (წილს) თავი ანებე და მხოლოდ საკუთარი მამული მართეო“, ხოლო გიორგიმ არ მიიღო ეს ბრძანება, არამედ ყრმობის ასაკით გამედიდურებულმა საწინააღმდეგო პასუხი გასცა: “რაც კი მამაჩემს ეპყრა საგამებლოდ, მისგან ერთ სახლსაც ვერავის მივცემო“.“

არისტაკეს ლასტივერტელი, სომეხი ისტორიკოსი

გიორგის ესმოდა რა ბიზანტიასთან ბრძოლის სირთულე, საგანგებო ელჩობა მიავლინა ქაიროში ეგვიპტის სულთან ალ-ჰაქიმთან და კეისრის წინააღმდეგ ერთობლივი შეტევის წამოწყება შესთავაზა (ალ-ჰაქიმი მალე უგზო-უკვლოდ დაიკარგა, და გიორგის წამოწყებაც არ განხორციელდა).

წყარო 6

1021 წელს „გამოვიდა ბასილი ...ყოვლითა სპითა საბერძნეთისათა, და უცხო თესლითა ურიცხვითა. გიორგი მეფე გავიდა სპითა დიდითა წინააღმდეგომად მისა. ...და იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა რომელსა ქვიან შირიმნი,.. განვიდა (ბრძოლაში) თვით გიორგი მეფე, რამეთუ იყო ახოვანი და უშიში ვითარცა უხორცო...“

„მატიანე ქართლისაი“.

ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ. ბიზანტიელებმა „უბოროტესად მოაოხრეს ქვეყანანი იგი“.

ქართველებსა და ბერძნებს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო. ამასობაში:

წყარო 7

„პატრიკოსმა სქიფიამ და პატრიკოსმა ნიკიფორემ (ბიზანტიელი დიდებულები) შეკრიბეს ჯარი და აჯანყება მოაწყვეს. ეს ამბავი რომ აუწყვეს მეფეს (ბასილი II), მისი ბანაკი შიშმა მოიცვა: ეშინოდათ, ვაითუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო. ხმები დადიოდა სქიფიას კაცები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ აბაზგიის მთავართანო (გიორგი I)“.

გიორგი კელრენე.

წყარო 8

დაამარცხა რა აჯანყებული დიდებულები, „კვალად შემოიქცა ბასილი, მოვიდა ბასიანს, ... გიორგი მეფემან, წარავლინა ზვიადი ერისთავი და უბრძანა, რაითამცა ზავის მიპყრობითა მცირე ხან დაიმჭირვა (შეეყოვნებინა) ადგილსა. და თვით წარვიდა უკან სპითა ძლიერთა. ...და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, ...იწყეს ბრძოლად, ...და კვალადცა მეოტ (უკუქცეულ) იქნენ სპანი ქართველთანი...

საბოლოოდ ყვეს მშვიდობა და დაიზავნეს. ... მისცა გიორგი მეფემან (კეისარს) მძევლად ძე თვისი ბაგრატ, ...მისცნა ციხენი ...და ქვეყანა, რომელი ჰქონდა დავით კურაპალატსა ტაოსა, ბასიანსა, კოლა-არტანთა და ჯავახეთს“ (1023წ.).

„მატიანე ქართლისაი“

დავალება 2

1. წყარო 5-ის, 6-ის, 7-ისა და 8-ის მიხედვით შეაფასე გიორგი I-ის ბიზანტიური პოლიტიკა.
2. შენი აზრით, როგორ მეფეს ისურვებდა კეისარი საქართველოში?
3. ჩამოთვალე თვისებები, რომელიც, შენი აზრით, მნიშვნელოვანია პოლიტიკოსისათვის.
4. დაახასიათე გიორგი I როგორც პოლიტიკოსი.
5. შეაფასე გიორგი I-ის მეფობის შედეგები.

X საუკუნეში ბიზანტიას დაუპირისპირდა ბულგარეთის სამეფო, რომლის წინააღმდეგობის დასაძლევად ბასილი II-ეს თითქმის 30-წლიანი ბრძოლა დასჭირდა (977-986 წწ.). იმპერატორს ძღვეამოსილი გამარჯვებებისა და გამოჩენილი სისასტიკისათვის „ბულგართმუსვრელი“ უწოდეს. მისი ბრძანებით 15000 ტყვე ბულგარელს თვალები დასთხარეს. მათგან ყოველ მეასეს თითო თვალს უნარჩუნებდნენ და ისე ათავისუფლებდნენ.

ბარდა ფოკას აჯანყებისას ბიზანტიის სამეფო კარმა დახმარებისათვის მიმართა კიევის რუსეთის დიდ მთავარ ვლადიმერს, რომელმაც ბასილი II-ეს აჯანყების ჩასახშობად 6000-იანი ლაშქარი აახლა; სანაცვლოდ ვლადიმერმა ბიზანტიის იმპერატორის დის, ანას ხელი ითხოვა, ხოლო საიმპერატორო კარის ორჭოფობისათვის ბოლო რომ მოელო, სამხედრო შეტევაზეც კი გადავიდა; ბასილი მის მოთხოვნას იმ პირობით დასთანხმდა, თუ ვლადიმერი გაქრისტიანდებოდა. 989 წელს ვლადიმერი მონათლა და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.



სურ. 2.5.2.2. კიევის რუსეთის გაქრისტიანება

ბიზანტიელმა მწერალმა მიქელ პსელოსმა შემდეგნაირად დაახასიათა ბარდა ფოკას მომხრე ქართველი მეომრები: „მან (ფოკამ) თავის გარშემო შეაგროვა უმამაცესი ქვეითი ჯარი, მე ვგულისხმობ უმამაცესად მებრძოლ იბერიელებს, ყველას ახლახან ამოსვლოდა წვერი, მაღალი ტანისა იყვნენ, თანაზომიერნი, თითქოს კანონის მიხედვით მოზომილნი, შეიარაღებული იყვნენ მახვილით და შემართვით იყვნენ უძლეველნი.“

დამოუკიდებელი სამუშაო

შექმენი ვენის დიაგრამა და მოათავსე მასში ბაგრატ III-ისა და გიორგი I-ის საერთო და განსხვავებული თვისებები.

განმარტებები

არქონტი — მმართველი, უფროსი; უმაღლესი თანამდებობის პირი.

კურაპალატი — ბიზანტიური უმაღლესი სამოხელეო წოდებულება; აკუთვნებდნენ ქართველ მეფეებსა და მთავრებს IX-XI სს.-ში.

პროვოცირება — ვინმეს ან რაიმეს ისეთი მოქმედებისათვის წაქეზება, რასაც მოჰყვება მისთვის არასასურველი შედეგი.

§3. ბაგრატ IV-ის მეფობა

გიორგი I-ის ძის ბაგრატ IV-ის (1027-1072 წწ.) მეფობისას ბიზანტიურ-ქართულ ურთიერთობაში თვალსაჩინოდ გამოიკვეთა ძველი რომაული პოლიტიკური პრინციპი „გათიშე და იბატონე“.

წყარო 1

ბაგრატის გამეფების პირველივე წელს „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოანე, ... განუდგეს მეფესა ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს (კეისარი)“.

„წელსა მეორესა გამოგზავნა კოსტანტი მეფემან პარკიმანოსი (სარდალი) ლაშქრითა თვისითა და განძითა ურიცხვითა... უძლიერესად ბასილი მეფისასა მოვლო და მოაოხრა ქვეყანანი იგი“.

„მოვიდა (პარკიმანოსი) თრიალეთს, ციხესა კლდეკართასა. ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავმა... შემოიკრიბა აზნაურნი, დაუდგეს და ...შეებნეს“.

„წარვიდა ჩანჩახი ფალელი (ქართველი დიდებული) საბერძნეთს, მისცა ციხე... მიერთო ბერძენთა“.

„არჯევან ჰოლოლას ძემან (ქართველი დიდებული) მისცა ბერძენთა ციხე“.

„დემეტრემ (ბაგრატ III-ის ნახევარძმა) მიმართა ბერძენთა მეფეთა და წარუტანა თანა ანაკოფია“.

„იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომ შავშეთს არღარა იყო სხვა ღონე, აავო ციხე, დაიჭირა ქვეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათვის“.

„ქართლის ცხოვრება“.



სურ. 2.5.3.1. ბაგრატ IV.

კითხვები

1. წყარო 1-ის მიხედვით ჩამოთვალე აზნაურები, რომლებმაც კეისარს დაუჭირეს მხარი – „მისცნეს ციხენი“ და აზნაურები, ვინც ბაგრატს უერთგულა.
2. როგორ ფიქრობ, რისთვის შეიძლებოდა დასჭირვებოდა სალაშქროდ მიმავალ პარკიმანოსს „განძი ურიცხვი“?
3. ისაუბრე იმ მოტივებზე, რომლებმაც ფეოდალებს განდგომისაკენ უბიძგეს?
4. როგორ ფიქრობ, რას ელოდნენ ქართველი ფეოდალები კეისრისაგან.
5. იმსჯელე იმ შედეგებზე, რომლებიც შეიძლებოდა ქართველ აზნაურთა ბიზანტიურ ორიენტაციას მოჰყოლოდა.

ეს საინტერესოა:

ბიზანტია-საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარება ბაგრატის დედამ, დედოფალმა მარიამმა, ითავა:

„სანატრელმან დედოფალმან მარიამ, შეიმოსა სიმხნე და ახოვანება, ...და წარვიდა კონსტანტინოპოლს წინაშე მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშვიდობა ჰყოს აღმოსავლეთისათვის, და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა“.

„ქართლის ცხოვრება“.

„მეფემ მისი თხოვნა შეიწყნარა, ზავი განუმტკიცა და თავისი ძმისწული ელენე აფხაზეთში გაგზავნა სარძლოდ, ხოლო სასიძო ბაგრატი კურაპალატის წოდებაში აღაზევა“.

გიორგი კვარცხელია.

„შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი, და შეერთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოსთ მეფისა ასული“.

„ქართლის ცხოვრება“.

დავალბა 1

1. რუბრიკა „ეს საინტერესოა“ მიხედვით იმსჯელე ქალის ადგილსა და მდგომარეობაზე იმ პერიოდის საქართველოში.
2. როგორ ფიქრობ, რამდენად შეეძლო დინასტიურ ქორწინებას პოლიტიკური პრობლემების მოგვარება?

თბილისის შემოერთებას ქვეყნის ერთიანობისა და სიძლიერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის საამირო კლდეკარის საერისთავოს ემეზობლებოდა.

წყარო 2

„ლიპარიტ (კლდეკარის ერისთავი) და იოანე აბაზაძემ (დიდებული) გამოიტყუეს მუსათავკერდს ამირჯაფარ ტფილისელი, შეიპყრეს და პატიმარ ჰყვეს; ... მეფემან ბაგრატ შეიწყალა და განუტევა (გაუშვა) ტფილისსავე (1032 წ.)“.

„ქართლის ცხოვრება“.

მოგვიანებით, 1037 წელს, ლიპარიტის ინიციატივით ბაგრატ IV-ემ თბილისს ალყა შემოარტყა. ალყა ორი წელიწადს გაგრძელდა და ქალაქის მოსახლეობა უკიდურეს გაჭირვებაში ჩააყენა.

წყარო 3

„ესრე შეაჭირვეს თბილელთა ლიტრა ვირის ხორცი ხუთას დრამად ასყიდის; ... თფილელთა განიზრახეს მოცემა ტფილისისა (მეფისათვის)“.

... (ამირამ) შეამზადა ტივები და ნავეები ღამით წარსვლად.“

სწორედ ამ დროს ბაგრატი, მოულოდნელად, ლიპარიტისაგან ფარულად, თბილისის ამირას დაუზავდა, და ქალაქს ალყა მოხსნა. — „რომელთამე დიდებულთა, აზრახეს (ურჩიეს) მეფეს, არა განდიდებისათვის ლიპარიტისა ეგოს (დარჩეს) ამირა თბილისსავე, და დაამტკიცა მეფემან ამირა ტფილისსავე“.

„და მიერთვან შეიქმნა ლიპარიტ ქვე-გამხედველი მეფის ბაგრატისა“.

„ქართლის ცხოვრება“.

1046წ. „მომკვდარიყო ამირა ტფილელი, მოვიდნენ ტბილისელნი ბერნი და მიიწვიეს მეფე; ... (ბაგრატი) მოვიდა ტფილისს, მოეგებნენ ტფილელნი, მორათვეს კლიტენი, შევიდა და დაჯდა სახლსა საამიროსა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

ამასობაში ლიპარიტმა ბაგრატის წინააღმდეგ აჯანყება წამოიწყო. მეფე იძულებული გახდა ლიპარიტის წინააღმდეგ მიემართა ძალები, „დაავლო ბაგრატ ტფილისი ლიპარიტის გზითა“ (ვახუშტი ბატონიშვილი).

წყარო 4

„ლიპარიტ გამოიყვანა საბერძნეთით დემეტრე, ძმა ბაგრატ მეფისა. ბერძენთა მეფის განძი და ლაშქარი შემწე იყო. განხეთქნა სამეფოსა კაცნი: რომელნიმე წარუდგნენ დემეტრეს, და რომელნიმე დარჩეს ბაგრატის ერთგულებასა შინა... შეიბნენ სასირეთის ჭალასა შინა, ... იძლივნენ ბაგრატისანი“.

„ქართლის ცხოვრება“.

წყარო 5

1048 წ. ლიპარიტი, რომელიც თურქეთ-ბიზანტიის ომში კეისრის მხარეს იბრძოდა, თურქებს ჩაუვარდა ტყვედ. „როდესაც მეფემ (ბიზანტიის) გაიგო ლიპარიტის დატყვევების შესახებ, სულ იმის ცდაში იყო გამოეყვინა, ამიტომ ძვირფასი საჩუქრები და გამოსასყიდი გაუგზავნა სულთანს... და სთხოვდა ლიპარიტის გათავისუფლებას. გათავისუფლებული ლიპარიტი კეისარმა მიიღო და საჯარო პატივით დააჯილდოვა“.

გიორგი კედრენე.

ბაგრატ IV, ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, ბიზანტიაში გაემგზავრა და ლიპარიტთან ურთიერთობის მოგვარებაში დახმარება კეისარს სთხოვა. ლიპარიტის მეცადინეობით ბაგრატი ბიზანტიაში სამ წელიწადს დააყოვნეს. „ვიდრელა იყო ბაგრატ საბერძნეთს“, ლიპარიტმა მისი მცირეწლოვანი ძე, გიორგი, რუისის ტაძარში მეფედ აკურთხა და თავი მის გამზრდელად გამოაცხადა.



სურ. 2.5.3.2. რუისის ეკლესია.

კითხვები

1. გაიხსენე, ვინ იყვნენ „თბილელი ბერები“?
2. წყარო 3-ის, 4-ისა და 5-ის მიხედვით, როგორ შეაფასე ბაგრატ IV-ის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს?
3. როგორ ფიქრობ, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო იმ ეტაპზე, თბილისის შემოერთება, რასაც ლიპარიტის გავლენის ზრდა მოჰყვებოდა, თუ თბილისის შემოერთებაზე უარის თქმა და ლიპარიტის აღზევების შეჩერება?
4. ტექსტისა და წყარო 4-ისა და 5-ის მიხედვით რა როლს ასრულებდა ბიზანტია ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტს შორის არსებულ კონფლიქტში.

❖ საინტერესოა, რომ ლიპარიტის თვითნებობა საბოლოოდ ისევე დიდაზნაურთაგან იქნა დაძლეული: „ამის სამეფოსა დიდებულთა მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისა, შეითქუნეს სულა კალმახელი და მესხნი, შეიპყრეს ლიპარიტ და ძე მისი იოანე, ... და ... ბაგრატ მეფესა ... მორათვეს“ („ქართლის ცხოვრება“).

❖ ბიზანტიასთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას ბაგრატ IV-ც დინასტიური კავშირით შეეცადა და თავისი ასული მართა კეისარ დუკა პარაპინაკს მიათხოვა. ბიზანტიაში მას მარიაში ეწოდა. მარიაშის ბიზანტიაში გადღეოფლებას საქართველოსათვის განსაკუთრებული შედეგი არ მოუტანა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ქართველი ქალის სილამაზეს გაუთქვა სახელი.

„მარიაში იყო მალალი და ტანადი, როგორც კვიპაროსი, თეთრი როგორც თოვლი, ...წამწამები გრძელი და განსაკვიფრებელი, თვალები ცისფერი.“

მზატერის ხელი ხშირად გადმოგვცემს ხოლმე იმ ყვავილების ნაირფერობას, რომლითაც გვასაჩუქრებს წლის სხვადასხვა დრო; მაგრამ მარიამ დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა აღემატება ფერწერას და ხელოვნებას... ვინც შემთხვევით დაინახავდა დედოფალს, ის რომ სეირნობდა ან უცაბედად შეხვდებოდა სადმე, საზღვარი არ ჰქონდა მის განცვიფრებას, გაქვავებული რჩებოდა იმავე მდგომარეობაში, რომელშიც შეხვდა მას. ...ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ.“

ანა კომნენე, ბიზანტიელი ისტორიკოსი



სურ. 2.5.3.3. მარიამ დედოფალი მეუღლესთან ერთად.

❖ ქართველი მემატიანის ცნობით, სასირეთის ბრძოლაში მონაწილეობა „ვარანგებს“, იგივე ვიკინგებსაც მიუღიათ. ბიზანტიის ჯარში, საჩუქრებისა და ნადავლის მოპოვების მიზნით, არაერთი სკანდინავიელი ვიკინგი მსახურობდა, რომელთაც განსაკუთრებული ვაჟკაცობითა და კეისრის ერთგულებით გაითქვეს სახელი. „ვარანგთათვის იმპერატორის ერთგულება და მისი პიროვნების დაცვა

არის ალექსანდრე და ტრადიცია, ... დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყურსაც არ ათხოვენ ლალაზე ჩამოგდებულ სიტყვას“ (ანა კომნენე). გარდა ამისა, ბიზანტიელებს ღრმად სწამდათ, რომ თანაბარ პირობებში ბრძოლისას ვარანგები, თავისი ცხოვრების მკაცრი და სასტიკი წესიდან გამომდინარე, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს დაამარცხებდნენ. კეისრები სათანადოდ აფასებდნენ ვარანგ მეომრებს, ანაზღაურებისა და საჩუქრების გარდა არსებობდა ტრადიცია: როცა კეისარი გარდაიცვლებოდა, მათ უფლება ეძლეოდათ შემოეკლათ სასახლეები და განდობილიყვნენ რაც სურდათ, მიეთვისებინათ, რადგან ვიკინგები უპირატესობას ძარცვით მოპოვებულ ქონებას ანიჭებდნენ.

საქართველოში ვარანგები შესაძლოა ლიპარიტს ჩამოჰყოლოდნენ, მაშინ, როცა დემეტრეს კეისარმა „განძი და ლაშქარი“ გამოაგზავნა. სავარაუდოა, რომ სასირეთის ომის შემდეგ მათი ნაწილი დარჩა ანაკოფიის ციხეში, რომელიც ბიზანტიელებს ეპყრათ, ხოლო უმრავლესობამ კი საქართველო დატოვა.



სურ. 2.5.3.4. ვარიაგი (ვიკინგი) მეომრები.

დამოუკიდებელი სამუშაო

წერილობით ჩამოაყალიბე სახალიფოსა და ბიზანტიის მიზნები საქართველოს მიმართ; დაახსენათ პოლიტიკა, რომელსაც ისინი მიზნის მისაღწევად ახორციელებდნენ, იპოვე მსგავსება და განსხვავება.

განმარტებები

ლიტრა – წონის ერთეული ნახ. კილოზე ნაკლები, დაახლოებით 300 გრამი.

§4. თურქ-სელჩუკები და საქართველო

XI საუკუნის შუა ხანებიდან მახლობელ აღმოსავლეთში პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა, რაც ისტორიულ ასპარეზზე ახალი ძალის – თურქ-სელჩუკების გამოჩენამ განაპირობა. ოღუზები, თურქული მოდგმის ტომი, რომელთაც მათი წინამძღოლის, სელჩუკის, სახელის მიხედვით სელჩუკიანებს უწოდებდნენ, თავდაპირველად შუა აზიაში მომთაბარეობდნენ. მოგვიანებით ახალი საძოვრებისა და ნადავლის საძიებლად დასავლეთისაკენ დაიძრნენ, საოცარი სისწრაფით დაიპყრეს ავღანეთი, ირანი და ერაყი, 1055 წელს აიღეს სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი და ხალიფა აიძულეს, სელჩუკის შთამომავალი თოდრულ-ბეგი სულთანად, აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებლად ელიარებინა.

წყარო 1

„ეს ხალხი (თურქ-სელჩუკები) დამოუკიდებელი იყო და დასაბამიდან ხალხმრავალი და მამაცი მეომარი, რომელიც რძით იკვებებოდა და ჯერ არასოდეს არ ყოფილა დამონებული არცერთი ხალხის მიერ“. ნიკიფორე ვრიენიოსი, ბიზანტიელი ისტორიკოსი.

საქართველო XI საუკუნეებში

საქართველო და იბრწინაწმინდე

თურქ-სელჩუკები, რომლებიც თავს უკვე „დიდ სელჩუკებს“ უწოდებდნენ, განსაკუთრებით ალფ-არსლანისა (1063-1072 წწ.) და მალიქ-შაჰის (1072-1092 წწ.) მმართველობის დროს გაძლიერდნენ. მათი გავლენა სირიასა და პალესტინაზეც გავრცელდა. 1071 წელს მანაზკერტის ბრძოლაში სელჩუკებმა ბიზანტია სასტიკად დაამარცხეს და მას მცირე აზიაზე უარის თქმა აიძულეს. სულთანმა მალიქ-შაჰმა ამაყად აცხადებდა, რომ შუა აზიიდან წამოსულმა თავისი ცხენით ხმელთაშუა ზღვის წყლებში შეცურა. იმავდროულად დაიწყო სომხეთსა და ალბანეთში თურქული ტომების მასობრივი ჩამოსახლება და მაჰმადიანური სახანოების ჩამოყალიბება.

წყარო 2

„თურქები საძარცვავად შეეხიზნენ დასახლებულ ადგილებს. ... დაუსრულებელ ნაკადად მიედინებოდნენ ერთმანეთზე გადაბმული მამაკაცები და დედაკაცები, ბავშვები, ნორჩი ჭაბუკები, მღვდლები და ბერები...; ერთმანეთში იყვნენ არეული და ცხვრებივით მიერეკებოდნენ გასაყიდად. შესაბრალისი სანახაობა იყო: ყველგან ტირილი, ყველგან გოდება, ყველგან ცრემლი... არავინ იყო შემბრალებელი არც ელინი, არც ბარბაროსი“.
ლუკა, ბიზანტიელი ისტორიკოსი.

ეს საინტერესოა:

❖ დიდი სელჩუკი სულთნების (ალფ-არსლანის, მელიქ-შაჰის) განკარგულებაში უზარმაზარი სამხედრო ძალა იყო: სასახლის დაცვა, რომელიც ოთხი ათასი მეომრისაგან შედგებოდა და ორმოცდაათათასიანი მუდმივი ლაშქარი. ამას ემატებოდა მონათესავე თურქულენოვანი შუააზიელი მომთაბარე ტომები და დაქვემდებარებული სახელმწიფოებიდან გამოყვანილი ლაშქარი. საერთო ჯამში, ისტორიკოსების ვარაუდით, მათი რაოდენობა მილიონს აღწევდა.



სურ. 2.5.4.3. მალიქ შაჰი.



სურ. 2.5.4.4. ალფ არსლანი.

❖ თურქ-სელჩუკებს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის გამოცდილება არ ჰქონდათ, ამიტომ სახელმწიფო მოხელეებად (ვეზირებად) ძირითადად ირანელები ჰყავდათ.

ირანელი მოხელეები კარგად ხედავდნენ იმ დიდ საფრთხეს, რომელიც მათ სამიწათმოქმედო კულტურასა და საქალაქო ცხოვრებას ემუქრებოდა. ეს იყო სელჩუკთა პრიმიტიული მეურნეობა – მეჯოგეობა. ირანელები ამიტომ ცდილობდნენ თურქული მომთაბარე ელემენტის ირანის ფარგლებიდან გაყვანას და ბიზანტიისა და მცირე აზიისაკენ წარმართვას.

❖ თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოში მოსახლეობა ორ ნაწილად დაიყო – თურქებად და არათურქებად. თურქები „სიფაჰს“ (ლაშქარს), ანუ სამხედროებს წარმოადგენდნენ, არათურქებს „რაიათი“ (ქვეშევრდომი) ეწოდებოდათ. გარდა ამისა, არათურქის აღსანიშნავად გავრცელდა ტერმინი „ტაჯიკი“, ტაჯიკს თურქები უწოდებდნენ ყველას, ვინც კი მათგან განსხვავებით მიწათმოქმედებას ან საქალაქო ცხოვრებას ეწეოდა (გლეხებს, ვაჭრებს, ხელოსნებს...). მომთაბარე სელჩუკები მათ მუდმივი ძარცვა-თარეშის ობიექტად მიიჩნეოდნენ. ბინადარი მოსახლეობისადმი დამოკიდებულებას კარგად ასახავდა გავრცელებული ანდაზა: „როგორც კაცი არ არსებობს უქუდოდ, ისე თურქი არ არსებობს უტაჯიკოდ“.

კითხვები

- 1. როგორ ფიქრობ, რა განაპირობებდა თურქ-სელჩუკთა სამხედრო წარმატებებს?
- 2. გამოთქვი ვარაუდი, რა შედეგებს მოუტანდა თურქ-სელჩუკთა დაპყრობები დაქვემდებარებულ ხალხებს.
- 3. როგორ ფიქრობ, რამდენად გარდაუვალი იყო თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოს დაპირისპირება და რატომ?

დავლება 1

მისწერე წერილი ბაგრატ IV-ეს და შესთავაზე ღონისძიებები, რომელთა განხორციელება, შენი აზრით, ქვეყნის სიმტკიცესა და თავდაცვისუნარიანობას ააძაღლებს.

საქართველოში თურქ-სელჩუკები პირველად 1064 წელს გამოჩნდნენ, მათ ალფ-არსლანი სარდლობდა. „მოადგეს ახალქალაქს..., ბრძოდეს სამი დღე... და შევიდეს ქალაქად და ტყვე ყვნეს ურიცხვნი სულნი ქრისტიანეთანი. აღიღეს განძი..., და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“.

საპასუხოდ ბაგრატ IV-მ ბარდავი დაარბია, რომელიც ალფ-არსლანის მომხრეს, ანისის გამგებელ აბუ-ლასვარს ეკუთვნოდა.

1068 წელს თურქ-სელჩუკები კვლავ დაბრუნდნენ. მარბიელმა ლაშქარმა ამჯერად ქართლი და ზემო იმერეთი მოაოხრა. „მოისრა ურიცხვი სული... იქმნა საძაგელ ქვეყანა სახილველად კაცთა“. ბაგრატ IV-მ დაზავება ითხოვა, მშვიდობის სანაცვლოდ ალფ-არსლანმა მას ხარკის გადახდა მოსთხოვა. ბაგრატ IV-მ პირობა არ მიიღო. სანამ ქვეყანას დატოვებდა, ალფ-არსლანმა თბილისი და რუსთავი თავის ერთგულ განძის ამირა ფადლონს გადასცა. ბაგრატ IV-მ საპასუხოდ ფადლონის წინააღმდეგ გაილაშქრა, დაამარცხა იგი და თბილისი ქალაქის ამირათა შთამომავალს დაუბრუნა.

კითხვა


როგორ ფიქრობ, ყოველთვის არის თუ არა საკმარისი ქვეყნის დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად შეურიგებელი ბრძოლა? რატომ?

თურქ-სელჩუკთა შემოსევებმა ინტენსიური ხასიათი მიიღო ბაგრატ IV-ის ძის, გიორგი II-ის (1072-1089წწ.) დროს.

1074 წელს მალიქ-შაჰმა თავის სარანგს (სარდალი) ქართლის დარბევა დაავალა. ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში გიორგი II-მ გამარჯვება მოიპოვა და თურქ-სელჩუკები ქვეყნიდან გააძევა.

1080 წელს „კლარჯეთი ზღვის პირამდის, შავშეთი, აჭარა, სამცხე, ქართლი, არგვეთი, ჭყონდიდი აღივსო თურქითა..., ერთსა დღესა დაწვეს ქუთაისი და არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი..., მოჭამეს ქვეყანა და მოსწყვიტეს“.

80-იან წლებში საქართველოში „დიდი თურქობა“ დაიწყო: თურქები დედაწულითა და ჯოგებით ყოველწლიურად „თანა გაზაფხულისასა მოვიდიან... და ზამთარს წარვიდიან. და არა იყო მათ ჟამსა შინა თესვა და მკა: მოოსრდა ქვეყანა და ტყედ გადაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნენ მას შინა“.



სურ. 2.5.4.5. თურქი მეომრები.

„ხეღვიდა მეფე გიორგი რამეთუ არსად იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა... წარვიდა... ნახა სულტანი.“ მალიქ შაჰმა მას ნაკისრი ხარაჯის სანაცვლოდ მშვიდობა აღუთქვა და თან, კახეთ-ჰერეთის შემოსაერთებლად, ლაშქარი გამოატანა. საქართველოში დაბრუნებული გიორგი II თურქთა მაშველი ჯარით „მოვიდეს კახეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. ხოლო მეფესა გიორგის მოეხსენა (გაახსენდა) ნადირობა აჯამეთისა, არღარას ზრუნვიდს სხვასა, არცა ელოდა აღებასა ვეჟინისასა და კახეთისა... გარდავლო მთა ლიხთა და შთავიდა აფხაზეთად“. მიტოვებულმა თურქთა ლაშქარმა იორისპირა მიწების აოხრებას მიჰყო ხელი.

დავალება 2

1. შეადარე ერთმანეთს თურქ-სელჩუკთა მიმართ ბაგრატ IV-ისა და გიორგი I-ის მიერ წარმოებული პოლიტიკა.
2. დაუკვირდი სიტყვა „ველურს“; იფიქრე, რატომ უწოდებდნენ ქართველები თურქ-სელჩუკებს და სხვა მომთაბარე დამპყრობ ტომებს ველურებს?
3. რა საფრთხეს უქადადა თურქ-სელჩუკთა ყოველწლიური სეზონური შემოსევები საქართველოს?
4. როგორ განმარტავ მემატიანის სიტყვებს „არსაიდან იყო ღონე ხსნისა და შეწევნისა“?
5. როგორ ფიქრობ, რა შედეგი მოჰყვებოდა ვეჟინის ციხის აღებას, საქართველოს გაერთიანება, თუ კახეთ-ჰერეთის აოხრება?
6. გიორგი II-ს ისტორიკოსთა ნაწილი სუსტ მმართველად მიიჩნევენ; მოცემული წყაროების საფუძველზე დაასაბუთე ან უარყავი მათი შეხედულება.

დამოუკიდებელი სამუშაო

მანაზკერტის ომში ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ დიოგენე, რომელიც ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობდა, თურქ-სელჩუკებმა ტყვედ ჩაიგდეს. ბიზანტიელი ისტორიკოსი მიქაელ ფსელოსი წერს: „თუ ჩვენ რომანს უშიშარ ადამიანად და გულად მეომრად შევაფასებთ, მისი საქციელი ქებას იმსახურებს, სამხედრო მეცნიერების წესებით კი... მხედართმთავარს მოშორებით დგომა, მეომრებისათვის აუცილებელი განკარგულებების გაცემა მართებს. მეფე, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს უაზროდ საფრთხეში იგდებს, მხოლოდ მწარე დაცინვის ღირსია“.

გაიხსენე, როგორ იქცეოდნენ ქართველი მეფეები ბრძოლის ველზე და დაწერე, რას ფიქრობ მიქაელ ფსელოსის შეხედულებაზე.

საქართველო XI საუკუნეში

აღმწმინდაციან იმ სტენდარტისა

III თავი. საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

I თავი. ღვთისმშობლის ხატის აღმოჩენა

§1. ჯვაროსნები და საქართველო

ჯვაროსნულ მოძრაობას თავისი გამომწვევი შინაგანი მიზეზები ჰქონდა. ევროპელი ფეოდალები ახალი დაპყრობებით ფიქრობდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების სიმდიდრის დაუფლებას, საკუთარი მიწებისა და სამფლობელოების გაზრდას. მაშინ ევროპაში არსებობდა კანონი, რომლის ძალითაც მემკვიდრეობა მხოლოდ უფროს ვაჟს ერგებოდა. მიწათმფლობელის სხვა შვილები, მართალია, ინარჩუნებდნენ წოდებრივ პრივილეგიებსა და წარმომავლობით სტატუსს, როგორც იყო ჰერცოგი, გრაფი, ბარონი, აზნაური და ა.შ., მაგრამ რეალურად არც მიწა და არც სიმდიდრე არ გააჩნდათ. ფეოდალისათვის კი მიუღებელი იყო ვაჭრობა, მიწათმოქმედება და მეწარმეობა. მათ საპატიო საქმედ მხოლოდ მებატონეობა და რაინდობა მიაჩნდათ. ამიტომ უმემკვიდრედ დარჩენილი დიდგვაროვნები მებრძოლთა რიგებს ავსებდნენ, რაინდები ხდებოდნენ და ცდილობდნენ სიმდიდრე „პატიოსანი ბრძოლებით“ მოეპოვებინათ. მათთვის საოცრად მიმზიდველი აღმოჩნდა აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნების დაპყრობისა და იქაური ქონების დაუფლების პერსპექტივა.

წყარო 1

„ხშირად ეს რაინდები დათარეშობდნენ გზებზე, მეკობრეობდნენ და მარცვავენდნენ ვაჭარ-სოფელდგართა ქარავენებს, ეკლესია-მონასტრებს თუ გლეხებს.

არცთუ იშვიათად რაინდების ასეთი ბანდები შეერთებასაც ახერხებდნენ და მაშინ ეს უკანასკნელები დიდი მასშტაბის შორეულ ლაშქრობებსაც აწყობდნენ ხოლმე სიმდიდრისა და ნადავლის საშოვნელად...

და მაინც ეს იყო წვეთი ზღვაში: ევროპის რაინდთა უმრავლესობა კვლავ უსახსროდ ცხოვრობდა და ოცნებობდა ახალ-ახალ ლაშქრობებზე, სადაც შეიძლებოდა დიდი სიმდიდრისა და მიწა-წყლის შოვნა“.

შ. ბარბიძე.

აღმოსავლეთით ლაშქრობას იმედის თვალთ მოსახლეობის ღარიბი და უფლებაშეზღუდული ფენებიც უყურებდნენ. ისინი ოცნებობდნენ, დასახლებულიყვნენ ახალ მიწებზე, სადაც თავს დააღწევდნენ ყმობასა და სიღატაკეს.

ევროპის სახელმწიფოთა მმართველები ჯვაროსნული ლაშქრობების წარმატებას უკავშირებდნენ ნაყოფიერი ტერიტორიების, მდიდარი და რიცხვმრავალი ქალაქების დაუფლებას, საკუთარი ძალაუფლების განვრცობასა და ვასალური სახელმწიფოების შექმნას.

იმ დროის ევროპაში ყველაზე დიდ ძალასა და ავტორიტეტს ფლობდა კათოლიკური ეკლასია, რომელსაც რომის პაპი ედგა სათავეში. ეკლესია ჯვაროსნული ომების ინიციატორად გვევლინება – აღმოსავლეთის ხალხებში ქრისტიანობის გავრცელება და ახალი სამფლობელოების დამკვიდრება სასულიერო წოდების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა.

ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებას ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაც უწყობდა ხელს. ბიზანტიის იმპერიას ასუსტებდა თურქ-სელჩუკების შემოსევები. თურქები XI საუკუნეში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ და იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებსაც ეუფლებიან, მაგრამ მტკიცე ერთობა ვერც სელჩუკებმა შეინარჩუნეს – დინასტიური ბრძოლები და ცალკეული მთავრების ლტოლვა საკუთარი სამფლობელოების დამოუკიდებლობისაკენ თურქების სამხედრო ძალებს ქსაქსავდა და მათ ძლიერებას სერიოზულ დარტყმას აყენებდა.

1095 წელს საფრანგეთის ქალაქ კლერმონში გაიმართა საეკლესიო

ღვთისმშობლის ხატის აღმოჩენა

ჯვაროსნები და საქართველო





სურ. 3.1.1.1. კლერმონის საეკლესიო კრება.

კრება. კრებას სასულიერო პირებს გარდა საერო ხელისუფალნი და წარჩინებულთა ფენის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. კრების მთავარ იდეად იქცა პაპის ურბან II-ის მოწოდება, თურქთა ბატონობისაგან გამოეხსნათ ქრისტიანთა წმინდა ქალაქი იერუსალიმი და უფლის საფლავი, რომელიც „თურქების წყეული ტომის მიერ... მძიმე მდგომარეობაშია...“. პაპის ამ მოწოდებას საერთო მხარდაჭერა მოჰყვა. საყოველთაო შეძახილი – „ასე სურს ღმერთს“, კარგად გამოხატავდა კლერმონში შეკრებილი სასულიერო და საერო ხელისუფალთა განწყობას – ეთავათ თურქთა წინააღმდეგ რელიგიური ომი წმინდა ადგილების „ურჯულოთაგან გასათავისუფლებლად“.

წყარო 2

ურბან II შეკრებილთ იმასაც შეახსენებდა, რომ აღმოსავლეთში მათ ზღაპრული სიმდიდრეც ელოდათ: „გასწიეთ წმინდა საფლავისაკენ. გაათავისუფლეთ წარმართებისაგან და დაიმორჩილეთ ეს მხარე. იქაურ მიწას რძე და თაფლი სდის. იერუსალიმი უნაყოფიერესი მხარეა. იგი არის დედამიწის ჭიპი და მეორე სამოთხე. გიწვევთ იგი მიწა, ელოდება განთავისუფლებას და განუწყვეტლივ გემუდარებათ დახმარებისათვის“.

კითხვები


1. ტექსტისა და წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით, განმარტე, რა სოციალურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობეს ჯვაროსნული ლაშქრობები?
2. რატომ იქცა კათოლიკური ეკლესია ჯვაროსნული ლაშქრობების ინიციატორად?

დავალება 1

დაიყავით ჯგუფებად, აირჩიეთ ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილე რომელიმე სოციალური ფენა და წარმოაჩინეთ მისი ინტერესი.

1096 წლის გაზაფხულზე უფლის საფლავის გამოსახსნელად პირველად ღარიბ-ღატაკები დაიძრნენ. ისინი სამხედრო საქმის უმეცარნი იყვნენ და არც სათანადო აღჭურვილობა ჰქონდათ. ღატაკთა ბრბოები თვით აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიან მოსახლეობას ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ, ამიტომ მათ ლაშქრობას მტრულად შეხვდნენ უნგრელები და ბულგარელები. გადარჩენილებს კი თურქ-სელჩუკებმა პირველსავე შეტაკებებში მოუღეს ბოლო.

იმავე წელს, შემოდგომაზე, აღმოსავლეთისაკენ უკვე რაინდთაგან შემდგარი მრავალრიცხოვანი ჯარი დაიდრა. მათ თავი კონსტანტინოპოლში მოიყარეს. ბიზანტიის დედაქალაქს ჯვაროსნთაგან ძარცვა-აწიოკების რეალური საფრთხე დაემუქრა. იმპერატორმა, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, ევროპელ მხედრებს ზომალდები გამოუყო და ბოსფორის სრუტით მცირე აზიის თურქული სახელმწიფოების ტერიტორიაზე გადასხა. ჯვაროსნებმა სელჩუკთა ჯარს რამდენიმე მძიმე დამარცხება აგემეს და 1099 წელს იერუსალიმი აიღეს, ხოლო იქ მცხოვრებ მაჰმადიანებსა და იუდეველებს სასტიკად გაუსწორდნენ.



სურ. 3.1.1.3. ჯვაროსნების მიერ ქალაქის აღება.

წყარო 3

„ვინ მოთვლის, ანტიოქიაში რა ნადავლი ჩავიგდეთ ხელში – ბევრად მეტი, ვიდრე შეგიძლიათ წარმოიდგინოთ. არც იმაზე გვაქვს წარმოდგენა, რამდენი თურქი... დაეცა იქ. იმის მოყოლაც კი შემზარავია, თუ რა წამებით ზოცავდნენ მათ...“.


წყარო 4

„(იერუსალიმის) ზოგიერთი მცხოვრები მიჰრაბში (სამლოცველო) გარბოდა და მათი დიდი ნაწილი ამოწყვიტეს, იუდეველები თავის ტაძარში შეგროვდნენ, მაგრამ ფრანკებმა (ჯვაროსნებმა) იქვე ამოწყვიტეს ყველა მათგანი.... დაანგრის წმინდა ადგილები“.

რაიმუნდ აჟილელი, ჯვაროსნთა თანამედროვე ისტორიკოსი.

სურ. 3.1.1.4. იერუსალიმის აღება.





სურ. 3.1.1.5. ჯვაროსნული სახელმწიფოები.

1099 წელს ევროპელებმა დააარსეს იერუსალიმის სამეფო, რომელსაც ექვემდებარებოდა ტრიპოლის, ანტიოქიის, ედესის და სხვა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ჯვაროსნული სახელმწიფოები. მიწებსა და სასახლეებს რაინდები ინაწილებდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ჯვაროსანთა ლაშქრობებს შეეწირა, ნაწილი კი მათდამი მონურ მორჩილებაში იმყოფებოდა.

თურქ-სელჩუკებმა მალევე შეძლეს ძალების მობილიზება. XII საუკუნის დასაწყისიდან ისინი ჯვაროსნების წინააღმდეგ სულ უფრო გაბედულ და წარმატებულ ბრძოლებს აწარმოებენ. ამ ბრძოლებს სათავეში ედგა ეგვიპტის სულთანი სალაჰ ად-დინი. ჯვაროსნები თანდათან თმობდნენ პოზიციებს. ვითარების გამოსწორების მიზნით ევროპელი მეფეები, რომის პაპების კურთხევით, ახალ-ახალ ლაშქრობებსაც აწყობდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

იერუსალიმის დასაბრუნებლად და ეგვიპტის დასაპყრობად მოეწყო IV ჯვაროსნული ლაშქრობაც (1202-1204 წწ.). შემუშავებული გეგმის მიხედვით, იტალიის ქალაქ-სახელმწიფოს – ვენეციის მმართველებმა ევროპელ მხედრებს ხომალდები გამოუყვეს, რათა მათ ზღვით მიეღწიათ ეგვიპტემდე, მოულოდნელი თავდასხმით დაემარცხებინათ ძირითადი მეტოქე და შემდეგ უმოკავშირედ დარჩენილი იერუსალიმიც ევლოთ ხელთ. პირობა თითქოს შესრულდა კიდეც, ვენეციელებს საჭირო რაოდენობის ფლოტიც აღმოაჩნდათ, მაგრამ ჯვაროსნებმა ვერ შეძლეს გემების მეპატრონეებისათვის სოლიდური თანხის გადახდა. გარიგება მაინც შედგა, ოღონდ არა თავდაპირველი გეგმის მიხედვით. ვენეცია სავაჭრო ქალაქი იყო და ის დიდ კონკურენციას განიცდიდა კონსტანტინოპოლის მხრიდან. მდიდარი კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებისათვისაც მიმზიდველი ჩანდა... 1204 წელს თურქ-სელჩუკების შემოსევებითა და შიდა კომფლიქტებით დასუსტებული ბიზანტია ჯვაროსნებმა დაიპყრეს და ნაცვლად იერუსალიმისა ქრისტიანული იმპერიის დედაქალაქი იგდეს ხელთ.

წყარო 5

„მას შემდეგ, რაც ჯვაროსნები კონსტანტინოპოლში შეიჭრნენ, დაიწყეს მისი დარბევა, სხვები გაიფანტნენ ქალაქში და კრეფდნენ ნადავლს. ალაფი იმდენად დიდი იყო, რომ არავის შეეძლო განესაზღვრა ოქროს, ხავერდის, აბრეშუმის ქსოვილის, ბეწვეულით გაწყობილი ტანსაცმლის და სხვა საგნების რაოდენობა. ისინი ირჩევდნენ სახლს, რომელიც მოეწონებოდათ... და ამგვარად ისინი სიღარიბიდან სიმდიდრესა და განცხრომაში აღმოჩნდნენ“.

ჟოფრუა ვილარდუენი, ჯვაროსნული ომების მემატიანე.



სურ. 3.1.1.6. კონსტანტინოპოლის აღება.

დავალება 2

1. წყარო 3-ის, 4-ის, 5-ისა და 6-ის მიხედვით იმსჯელე ჯვაროსნული ლაშქრობების მიზეზებსა და მიზნებზე.
2. იმსჯელე ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის მიზეზებსა და მის სავარაუდო შედეგებზე.

ჯვაროსნებმა საბოლოო ჯამში ვერც ბიზანტია შეინარჩუნეს და ვერც მომდევნო სამ ლაშქრობაში ისახელეს თავი. მიუხედავად ჯვაროსნების მარცხისა, ისტორიკოსები მაინც აღნიშნავენ ამ ლაშქრობათა მნიშვნელობას ევროპისათვის; მიუთითებენ, რომ ევროპელებმა ორი საუკუნის განმავლობაში გაიცნეს აღმოსავლური სამყარო, რომელზედაც აქამდე მხოლოდ მითიური წარმოდგენები ჰქონდათ.

ეს საინტერესოა:

❖ აღმოსავლეთის ყოფითი ტრადიციებისა და კულტურის გავლენით დაიწყეს ევროპელებმა წვერის პარსვა, სამოსის გამოცვლა, ქალაქებში აბანოების გამართვა, ათვისეს აბრეშუმის ქსოვილებისა და მინის წარმოება, გემო გაუსინჯეს ბრინჯსა და ლიმონს, ისწავლეს ჭადრაკის თამაში და სხვა.



სურ. 3.1.1.7. სალაკ ად-დინი.

❖ როდესაც ეგვიპტის სულთანმა სალაკ ად-დინმა იერუსალიმი აიღო, თავის მხედრებს აუკრძალა ქრისტიანებზე შურისძიება. „მე, ისევე როგორც თქვენ, ვიცი, რომ იერუსალიმი ღვთის სახლია და არ მინდა სისხლისღვრით წავბილწო მისი სიწმინდეები“, – ასეთი იყო ეგვიპტის მბრძანებლის მრწამსი.

❖ დაკავებული ტერიტორიების დაცვის მიზნით ჯვაროსნები ქმნიდნენ სასულიერო ორდენებს. ორდენის წევრები იყვნენ ბერები, რომლებიც აღთქმას დებდნენ, რომ ერთგულად ემსახურებოდნენ ეკლესიას, თავდადებული ბრძოლით დაიცავდნენ მის ინტერესებსა და სამფლობელოებს „ურჯულოთა“ ხელყოფისაგან; თავის მხრივ კი უარს ამბობდნენ ყოველგვარ მატერიალურ სიკეთეზე. სასულიერო ორდენებიდან განსაკუთრებით ძლიერ სამხედრო კავშირად ჩამოყალიბდა ჰოსპიტალიერთა და ტამპლიერთა გაერთიანებები. ჰოსპიტალიერთა თავდაპირველ მისიას შეადგენდა ჰოსპიტალების გამართვა და დავრდომილთა მოვლა-პატრონობა; ტამპლიერები

საკუთარ თავს იუდეველთა ბიბლიური მეფის სოლომონ ბრძენის ტაძრის მცველებს უწოდებდნენ, აქედან წარმოსდგა კიდევ სახელწოდება „ტამპლიერი“, რომელიც „ტაძრის მხედრებს“ ნიშნავს. ორდენების ხელმძღვანელებმა (დიდმა მაგისტრებმა) და წევრმა რაინდებმა თანდათან დაივიწყეს ღვთისადმი მიცემული პირობა და უმსხვილეს მიწათმფლობელებად იქცნენ.

დავალება 3

1. შენი აზრით, რამ განაპირობა ჯვაროსნული ლაშქრობების წარუმატებლობა?
2. დაასახელე ჯვაროსნული ლაშქრობების დადებითი და უარყოფითი შედეგები ევროპისა და ახლო აღმოსავლეთისათვის.

ჯვაროსნებს კავშირი საქართველოს სამეფოსთანაც ჰქონდათ. ასეთი კავშირი ორმხრივ სასარგებლო იყო, რადგან ისინი საკუთარ წარმატებას თურქ-სელჩუკთა სამხედრო ძლიერების განადგურებას უკავშირებდნენ.

წყარო 6

„აღმოსავლეთში არის აგრეთვე კიდევ ერთი ქრისტიანი ხალხი. ეს ერი არის მეტად მებრძოლი, ომში მამაცი, მძლავრი აღნაგობის და ძლევამოსილი. ჰყავს ურიცხვი მეომარი. შიშის ზარს სცემს სარკინოზებს, თავისი თავდასხმებით ხშირად დიდ ზიანს აყენებს სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრე მხარეებშიც სახლობს ურწმუნო ხალხებით გარშემორტყმული. ამ ხალხებს ქართველებს უწოდებენ... უფლის საფლავის მოსალოცად მომავალნი დროშებგამოღონი შემოდიან წმინდა ქალაქში და ბაჟს არავის უხდიან. სარკინოზები წყენინებას ვერ უბედავენ, რადგან სახლში დაბრუნებულებს შეუძლიათ შური იძიონ თავიანთ მეზობელ სხვა სარკინოზებზე. ქართველთა წარჩინებულ ქალებს, ამორძალთა მსგავსად, ომში რაინდებივით იარაღი აქვთ ასხმული...“.



სურ. 3.1.1.8. ჯვაროსნები

ჟაკ დე ვიტრი, XIII საუკუნის ისტორიკოსი.

ეს საინტერესოა:

ღავით აღმაშენებლის სახელი ევროპაში ლეგენდად იქცა. ჯვაროსნებში, რომლებიც სულ უფრო ძნელად უმკლავდებოდნენ თურქთა და მათ მოკავშირე მაჰმადიანთა ლაშქარს, მკვიდრდება და ძალზედ პოპულარული ხდება გადმოცემა მსხნელი მეფის – იოვანეს შესახებ, რომელიც ჯვაროსნების მოკავშირეა და მათ დასახმარებლად მოემართება უძლეველი ჯარით. ლეგენდის მიხედვით, აღმოსავლეთში, სპარსეთისა და სომხეთის ახლოს, ცხოვრობს ქრისტიანი მეფე იოვანე.

ერთ-ერთი სისხლისმღვრელი ბრძოლის დროს, ამ ხელმწიფემ დაამარცხა სპარსელთა და მიდიელთა მანამდე უძლეველი მხედრობა, ტყვედ ივდო მათი მეფე-მთავრები, აიღო მრავალი ქალაქი, მათ შორის სპარსეთის სატახტო ქალაქი ეკატანა (ეს ქალაქი დღეს ირანის ტერიტორიაზეა და ჰქვია ჰამადანი). გამარჯვებულმა იოვანემ იერუსალიმში წასვლა განიზრახა, რათა დახმარებოდა წმინდა მიწის, იერუსალიმის, მცველთ.

გმირი მეფე თავისი მხედრებით გაემართა იერუსალიმისაკენ, მაგრამ გემების უქონლობის გამო მდინარე

ეფერატი ვერ გადალახა და უკან დაბრუნდა იმ პირობით, რომ მომავალში, უკეთ მომზადებული, ჯვაროსნებთან ერთად საბოლოოდ გაათავისუფლებდა უფლის საფლავს.

მეფე იოვანეს ლაშქრობის ამბავმა ჯვაროსნებში დიდი სიხარული გამოიწვია. ისინი იმედოვნებდნენ, რომ გმირი მეფე მალე მოვიდოდა მაჰმადიანებზე შურის საძიებლად. ეს ლეგენდა ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგაც იყო გავრცელებული ევროპელ რაინდთა შორის.

წყარო 7

„ამჟამად დადგენილია, რომ გადმოცემა იოვანე მეფე-ხუცესის შესახებ შეიქმნა ჯერ კიდევ XII საუკუნის დასაწყისში იმ ხმების საფუძველზე, რომლებიც ამ ეპოქაში ჭარბად გავრცელდნენ ევროპელთა შორის დავით აღმაშენებლის, მისი ძის, დემეტრესი და საერთოდ საქართველოს შესახებ“.

შ. ბადრიძე.

დამოუკიდებელი სამუშაო

წყარო 6-ისა და 7-ის და რუბრიკის – „ეს საინტერესოა“ მიხედვით განსაზღვრე რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ჯვაროსნების კავშირს ორივე მხარისათვის.

განმარტებები

ფრანკები – ძველი გერმანული ტომები; აქ იგულისხმება ჯვაროსნები.

§2. დავით აღმაშენებელი. საშინაო პოლიტიკა, რეფორმები

1089 წელს გიორგი II უარს ამბობს სამეფო ხელისუფლებაზე და ტახტს თავის 16 წლის მემკვიდრეს – დავითს უთმობს.



სურ. 3.1.2.1. დავით აღმაშენებელი

წყარო 1

„... გიორგი მეფე სახელმწიფო საქმეებს ჩამოაშორეს და რა თქმა უნდა ამის ინიციატორი იყო არა თევქსმეტი წლის ყმაწვილი, არამედ მეფის კარზე მყოფთა ენერგიული დასი. ახლა თუ თვალს გადავავლებთ ამ დასის მოღვაწეობას დავითის მეფობის როგორც დასაწყის ხანაში (როცა ბაღვაშები გაანადგურა დავითი ოცი წლის იყო, როცა სულთანს ხარკი შეუწყვიტა დავითი 24 წლის იყო, როცა ზედაზნის ერისთავი გაანადგურა დავითი 28 წლის იყო, როცა საეკლესიო კრება მოიწვია დავითი 31 წლის იყო), ისე მთელი მეფობის განმავლობაში, და დაუუკვირდებით გიორგი მწიგნობართუხუცესის დახასიათებას და დავითის მეფობის ხასიათს, კურსს, ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, რომ 1089 წელს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, რომ ეს გადატრიალება სამეფო კარზე გავლენიანმა ჯგუფმა გამოიწვია, რომ ამ გადატრიალების იდეური ხელმძღვანელი იყო გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი“.

ნ. ბერძენიშვილი.

კითხვები

1. შენი აზრით, რა მიზეზებმა განაპირობა გიორგი II-ის სამეფო ხელისუფლებისაგან ჩამოცილება?
2. წყარო 1-ის მიხედვით, როგორ აფასებს ისტორიკოსი ნ. ბერძენიშვილი 1089 წლის მოვლენას? როგორია შენი შეფასება?
3. წყაროს 1-ის მიხედვით, რა ფაქტებია განსაკუთრებით საყურადღებო დავით IV-ის მოღვაწეობაში?

ეს საინტერესოა:

საქართველოსა თუ მსოფლიო ისტორიაში არაერთი მეფეა ცნობილი სხვადასხვა წოდება-ეპითეტებით: „დიდი“, „მრისხანე“, „კისკასი“, „მცირე“, „მოკლე“, „თავდადებული“, „რეგვენი“, „ბრწყინვალე“, „ბნელი“, „ლომჯული“, და სხვ. ეს მეტსახელები კარგ წარმოდგენას გვიქმნიან მეფეების პირად თვისებებსა და მათ მოღვაწეობაზე... „აღმაშენებლის“ სახელით კი ისტორია მხოლოდ დავით IV-ს იცნობს.

წყარო 2

„ხოლო მეფესა დავითს ამისათვის ეწოდა აღმაშენებელი, რამეთუ ოდეს იქმნა მეფედ, იყო ქვეყანა ესე სრულიად ოხერი (მოოხრებული); ამან აღმაშენა..., რამეთუ იყო მოშიში და მოყვარე ღვთისა, გლახაკთა, ქვრივთა და ობოლთა მოწყალე, სწულთა თვითმსახური, ეკლესიათა, ქსენონთა მაშენებელი...“
ვანუშტი ბატონიშვილი.

სახელმწიფოს გაძლიერებისათვის უწინარესად ერთგული და ბრძოლისუნარიანი ჯარის შექმნა იყო საჭირო. არსებული ჯარი, როგორც ჩანს, მეფეს საიმედო დასაყრდენად არ მიაჩნდა.

დავალება 1

რუბრიკაში „ეს საინტერესოა“ ჩამოთვლილ ეპითეტებს მიუსადაგე შესაბამისი თვისება, რომელიც ამა თუ იმ მეფეს შეიძლება ჰქონოდა.

წყარო 3

„მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულ მრავალგზის მტერთაგან სილტოლვითა უცხნო და უსაჭურველონი (უიარაღონი) და თურქთა მიმართ წყობისა (ლაშქრის სამხედრო წყობის) ყოვლად უმეტარნი და ფრიად მოშიშნი“. ჯარში სამხედრო დისციპლინაც მოშლილი ჩანს – „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა და ყოველი უწესობა...“, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ქართულ ლაშქარში.
„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

დავითი სწრაფად აყალიბებს ერთგულ რაზმებს. დიდ ყურადღებას უთმობს მათ წვრთნასა და საომარი საქმიანობისათვის მუდმივ მზადყოფნას. ახალი ლაშქარი სამ ნაწილად იყოფოდა: „მონასკა“ მეფეს მუდმივად თან ახლდა და მის პირად უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა; მეციხოვნეებს „ქალაქთა და ციხეთა შინა“ დგომა, ანუ ციხე-ქალაქების გამაგრება და დაცვა ევალებოდა; ჯარის ძირითად ბირთვის კი ქმნიდნენ მოლაშქრეები, რომელთა ფუნქციას ხელმწიფოს დაცვა და შემოჭრილი მტრის მოგერიება წარმოადგენდა.

დავალება 2

- 1. წყაროს 3-ის მიხედვით დაახასიათე ქართული ჯარი, მიუთითე მის ნაკლოვან მხარეებზე.
- 2. შეაფასე დავით აღმაშენებლის სამხედრო რეფორმა. შენი აზრით, რა შედეგს მოუტანდა ქვეყანას ეს რეფორმა?

სახელმწიფოს წინაშე კვლავ დაუძლეველ პრობლემად იდგა კლდეკარის ერისთავთა თვითნებობა. „ლიპარიტი ამირამ იწყო მათვე მამა-პაპურთა კუალთა სვლა“. „დავით ინება გაწურთა მისი“, დაამარცხა ურჩი ერისთავი, მაგრამ განდგომა მიუტევა. ლიპარიტი კვლავ დაადგა თვითნებობის გზას. ამჯერად შეპყრობილი ერისთავი მეფემ ბიზანტიაში გააძევა, კლდეკარის ციხე კი ლიპარიტის ძეს, რატის, არგუნა. 1103 წელს, როდესაც რატი ბაღვაში გარდაიცვალა, დავითმა გააუქმა კლდეკარის საერისთავო და ის სამეფო საკუთრებად გამოაცხადა.

წყარო 4

„ამ ძლიერი საერისთავოს გაუქმებით მან მნიშვნელოვნად დაასუსტა ოპოზიცია და გააძლიერა სამეფო ხელისუფლება. საქართველოს ერთ სამეფოდ შეკვირისათვის აუცილებელი იყო, რომ თრიალეთი (ლიპარიტის საგამგებლო პროვინცია) მეფის ხელთ ყოფილიყო, რადგან აქ გადიოდა უმოკლესი გზა, რომლითაც საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი მის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს უკავშირდებოდა... ბაღვაშთა მსგავსად, დავითის პოლიტიკის მოწინააღმდეგე იყო აბულეთისძეთა ფეოდალური სახლი, რომლის წარმომადგენელს ძაგანს დავითმა ყველაფერი ჩამოართვა. ლიპარიტისა და სხვათა ბედი სამაგალითო იქნებოდა დიდგვარანებისათვის, რომელთათვისაც აშკარა იყო, რომ დავითი არ იმეორებს თავისი მამის მეთოდებს მუამბოზე ფეოდალთა მიმართ და ურჩებს კი არ ასაჩუქრებს, პირიქით სათანადოდ უსწორდება...“
მ. ლორთქიფანიძე.

საინტერესოა

საინტერესოა

კითხვები

1. რამდენად გამართლებულად მიგაჩნია მოწინააღმდეგე ძალების მიმართ შეურიგებელი პოლიტიკის წარმოება?
2. წყარო 4-ის მიხედვით გამოთქვი ვარაუდი, როგორი იქნებოდა გიორგი II-ის დამოკიდებულება ურჩი ფეოდალების მიმართ და რამდენად მისაღები იქნებოდა ასეთი პოლიტიკა სახელმწიფოს გაძლიერებისათვის?

დავით აღმაშენებელმა საეკლესიო რეფორმაც გაატარა. 1103 წელს რუის-ურბნისში იქნა მოწვეული საეკლესიო კრება. რომელზეც სამეფო ხელისუფლების მომხრე ძალებმა გაიმარჯვეს და „უღირსთაგან“ გაწმინდეს ეკლესია.

წყარო 5

„გარკვეული ნაწილი (საეკლესიო პირების) ალბათ მართლაც უღირსი იყო იმ თანამდებობისა, რომელიც მას ეკლესიაში ეკავა, რადგან უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანია, რაც წყაროებით დასტურდება საეკლესიო თანამდებობათა გაყიდვა... მაგრამ აქ „უღირსად“ მართო ისინი კი არ ითვლებიან, ვინც თავიანთი განათლებით თუ ცენზით არ არიან მათ მიერ დაკავებული თანამდებობების შესაფერნი, არამედ უმთავრესად ისინი, ვინც მეფის თვალსაზრისით, სამეფო დასის შეხედულებათა და სახელმწიფოს ცენტრალისტური პოლიტიკის აზრით არიან „უღირსნი“.



მ. ლორთქიფანიძე.

სურ. 3.1.2.2. ურბნისი

წყარო 6

„განათავისუფლა არა მონასტერნი ოდენ (მხოლოდ) და ლავრანი მოსაკარგავეთა მაჭირვებელთაგან (გადასახადების ამკრებთაგან), არამედ ხუცენიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბევრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას ემსახურებოდა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობების გაერთიანება.

წყარო 7

„მწიგნობართუხუცესობა სავსებით ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული. ამ ხელსა (თანამდებობას) და მეფის უფლების ძლიერებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება იყო: რაც უფრო ძლიერი იყო მეფე, მით უფრო ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო მწიგნობართუხუცესობა და პირუკუ. ბუნებრივია, ამიტომ მწიგნობართუხუცესი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება-განდიდების თავდადებული მომხრე და მოღვაწე უნდა ყოფილიყო“.

ნ. ბერძენიშვილი.

კითხვები

1. წყარო 5-ის მიხედვით განსაზღვრე, რამ გამოიწვია საეკლესიო რეფორმის აუცილებლობა.
2. როგორ ფიქრობ, რამდენად გამართლებულია საერო ხელისუფლების ჩარევა ეკლესიის საქმეებში? როგორ ახასიათებს ეს სამეფო ხელისუფლებას?
3. წყარო 7-ის მიხედვით რა მნიშვნელობა ჰქონდა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის „სახელების“ გაერთიანებას?

ეს საინტერესოა:

გიორგი მწიგნობართუხუცესი დავითის პოლიტიკის გამტარებელი და ერთგული მხარდამჭერი იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ გიორგი შეიქნა ყველა იმ ღონისძიების სულისჩამდგმელი, რომლებსაც მეფე ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის გეგმავედა და ახორციელებდა.

წყარო 8

„გიორგი მონაზონი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების „თუალად“ იყო „ცნობილი“, ე.ი. აღიარებული იყო მთავარ ინიციატორად და კრების მუშაობის წარმმართველად... იგივე იყო ახალგაზრდა მეფის განმზრახნი ლიპარიტ-რატიისა (ბაღვაშები) თუ ძაგან-მოდისტოს (აბულეთისძენი) წინააღმდეგ ბრძოლისა. იგივე გიორგი მონაზონი მეფის მთავარი თანამოღვაწეა თურქთა განდევნის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით ან უშუალო მონაწილეობით ხდება სამშვილდისა და სომხითის განწმენდა თურქთაგან, ასევე რუსთავიდან მათი

განდევნა და ამ ქალაქის შემოერთება. ასე რომ გიორგი მონაზონი მართლაც „განმკაფელი“ იყო „ყოველთა გზათა, საქმეთა ღუაწლთა“ მეფისათა...“.

ნ. ბერძენიშვილი.

წყარო 9

გიორგი მწიგნობართუხუცესის გარდაცვალება „იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდინ იშვა ვახტანგ (უფლისწული), რომლისა ხარებითა დაეხსნა გლოვა“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

ქვეყნის შიგნით წესრიგის განმტკიცებას ემსახურებოდა „მსტოვართა“ აპარატის შექმნა.

წყარო 10

„დიდნი საქმენი და ფრიად სასწრაფონი წარმართა ამით, და მრავალთა კეთილთა მიზეზ იქმნა ესე: ორგულებასა და ღალატსა ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებად, არა თუ ქმნად. არცა თუ მეუღლესა თვისსა თანა, ანუ მოყვასსა თვისთა, გინა ყრმათა თვისთა თანა, ვინაითგან მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსვლისავე სიტყვისასა საცნაურ ქმნილ არს (ცნობილი იქნებოდა) უეჭველად წინაშე მეფისა“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

მსტოვართა აპარატი ქვეყნის გარეთაც მოქმედებდა, რის შედეგადაც სამეფო კარმა ზედმიწევნით კარგად იცოდა უცხოეთში მიმდინარე პროცესების შესახებ, დროულად ხდებოდა მისი ინფორმირება მოახლოებული საფრთხის თაობაზე.

კითხვები

1. წყარო 9-ის მიხედვით განსაზღვრე, რა ფუნქცია ჰქონდა მსტოვართა აპარატს?
2. რა მნიშვნელობა ჰქონდა მსტოვართა აპარატს სახელმწიფოსთვის?
3. რომელი თანამედროვე უწყების ანალოგიაა მსტოვართა აპარატი?

განმარტებები

- ქსენონი – (ძვ. ქართ.) საავადმყოფო.
- კისკასი – (ძვ. ქართ.) მარდი, სწარფი, ცქვიტი.

§3. ღონისძიებები ქვეყნის გაერთიანებისა და გათავისუფლებისათვის

დავითმა პირველი რიგის ამოცანად კახეთ-ჰერეთის შემოერთება დასახა. აიღო ზედაზნის ციხე, რასაც კახეთის დაკავების პროცესში მნიშვნელოვანი სამხედრო პლაცდარმის როლი უნდა შეესრულებინა. კახეთ-ჰერეთი საკმაო ძალას ფლობდა, ამიტომ მეფემ აქ საკუთარი მომხრეების რაოდენობის გაზრდას შეუდგა. მათ შეიპყრეს მეფე აღსართანი და დავითს გადასცეს.



სურ. 3.1.3.1. ზედაზნი.

მართალია, აღმოსავლეთ პროვინციების შემოერთება მშვიდობიანად მოხდა, მაგრამ საქართველოს დასუსტების მოსურნე ძალები, პირველ რიგში, თურქეთის სასულთნო, ქვეყნის გაერთიანების პროცესს დიდ წინააღმდეგობას უწევდა და საკუთარი „მოკავშირის“ (კახეთ-ჰერეთის) გამოსახსნელად ემზადებოდა. ბრძოლა ერწუხს გაიმართა (1104 წ.) და ქართული ლაშქრის გამარჯვებით დასრულდა.

დავითმა შემდეგი იერიში ქვემო ქართლზე მიიტანა. ამ ადგილს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა – მისი დაკავებით თბილისის საამიროს პოზიციები სუსტდებოდა, ის ქართული სახელმწიფოთი გარშემორტყმული ხდებოდა და თურქულ სამყაროს მოსწყდებოდა. ამავე დროს, ქვემო ქართლი მომთაბარე ტომების სათარეშო ადგილს წარმოადგენდა, მათ დასაყრდენს ამიერკავკასიაში.

საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში

წყარო 1

„... პირსა მტკვრისასა, ტბილისითგან ვიდრე ბარდავამდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა შინა... ითიბება თივა, და აქვს შეშა და წყალი... და არს სიმრავლე ნადირთა... ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და აქლემისა მათისა (თურქებისა) არა იყო რიცხვი, და აქუნდა (ჰქონდათ) ცხოვრება სანატრელი, ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან... ხოლო ჩვენთა ნაპირთა არბევდიან ტყვეთა და ალაფითა სავსეთა...“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.



სურ. 3.1.3.2. სამშვილდე.

მომთაბარე ტომების ერთ-ერთი დასაყრდენი ციხე-ქალაქი სამშვილდე იყო, რომელიც დავითის ლაშქარმა 1110 წელს აიღო. 5 წლის შემდეგ დავითმა დაიკავა რუსთავიც, რომელიც სამშვილდის შემდეგ მომთაბარე თურქების ძირითად თავშესაფარს წარმოადგენდა. 1116 წელს კი ისინი ტაოდანაც განდევნეს.

კითხვა

წყარო 1-ის მიხედვით განსაზღვრე დავითის მიერ გათავისუფლებული ტერიტორიებისა და ქალაქების სტრატეგიული მნიშვნელობა.

ეს საინტერესოა:

თუ მეფობის პირველ წლებში დავითი ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულებს ატარებდა, სამეფო ხელისუფლებისა და სახელმწიფოს გაძლიერების შემდეგ მეფე უარს ამბობს მათზე.

დავით აღმაშენებლის ტიტულატურა საბოლოო სახით ასე ჩამოყალიბდა – „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შაჰანშა (ანისის მმართველის აღმნიშვნელი სახელი) და შარვანშა (შარვანის მმართველის აღმნიშვნელი სახელი)“.

წყარო 2

„დავითი თავის თავს „მესიის მახვილს“ უწოდებს. ამით ის აცხადებს, რომ მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა“.

ნ. ბერძენიშვილი.

წყარო 3

ნიშანდობლივია, რომ „მესიის მახვილი“ დავით აღმაშენებელმა თავის მონეტაზე ამოკვეთა არაბულად, ვინაიდან ეს მონეტა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ბაზარზე გადიოდა და ის ყველაზე უკეთესი საშუალება იყო დავითის ამ ზეწოდების ფართოდ განმაურებისათვის...“.

მ. ლორთქიფანიძე.

წყარო 4


„სამეფო ხელისუფლებას უნდა ეზრუნა რათა... საქართველოს სამეფო ლაშქრის რაოდენობის გაზრდა ქვეყნის მწარმოებელი მოსახლეობის ხარჯზე არ მომხდარიყო და ამავე დროს, ახლად შექმნილ ლაშქარს თავის საქმიანობად მხოლოდ მოლაშქრეობა ჰქონოდა“.

შ. მესხია.

დავით აღმაშენებელმა 1118 წელს საქართველოში ჩამოსახლა ყივჩაღთა 40000 ოჯახი, იმ პირობით, რომ ყოველ ოჯახს მეფის მუდმივ სამსახურში თითო მხედარი უნდა გამოეყვანა.

ეს საინტერესოა:

ყივჩაღები თანამედროვე რუსეთის სამხრეთ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ და მეცხოველეობას მისდევდნენ. მათ ხშირი ბრძოლები ჰქონდათ კიევის სახელმწიფოსთან („კიევის რუსეთთან“). გაძლიერებული კიევის რუსეთი სამხრეთის მიწების შემოერთებას ესწრაფოდა, რაც ყივჩაღების შევიწროებას, სამკვიდრებლიდან მათ აყრას იწვევდა. ყივჩაღები იძულებულნი გახდნენ სამხრეთისაკენ დაძრულიყვნენ და ჩრდილო კავკასიაში დაეწყოთ ჩამოსახლება. ამდენად, ისინი საქართველოს გაუმეზობლდნენ. აღსანიშნავია, რომ დავით აღმაშენებელი დაუნათესავდა კიდეც ყივჩაღთა იმდროინდელ მთავარ ათრაქას და ცოლად შეირთო მისი ასული.



სურ. 3.1.3.3. ყივჩაღები.

ცივიკალებს არ ჰქონდათ ერთიანი სახელმწიფო, ისინი გვაროვნულ თემებად ცხოვრობდნენ, წარმართები იყვნენ და სხვადასხვა კერპებს სცემდნენ თავყვანს. ზოგჯერ ადამიანის მსხვერპლად შეწირვის რიტუალსაც კი მიმართავდნენ. ცივიკალები შეიარაღებულნი იყვნენ შუბებით, მოხრილი ხმლებით, მშვილდ-ისრით; მათ ეხურათ რკინის მუზარადები და ტანთ მჭიდროდ ნაქსოვი ჯაჭვის პერანგები ეცვათ. ყოველ ცივიკალს ომში რამდენიმე ცხენი მიჰყავდა, მათი ცხენები საოცრად სწრაფები იყვნენ, რაც მათ ბრძოლაში დიდ უპირატესობას აძლევდა.



სურ. 3.1.3.4. კიევი.

ქართულ სახელმწიფოს პოლიტიკური კავშირი კიევის რუსეთთანაც ჰქონდა დამყარებული. ეს კავშირი სავარაუდოდ დავით აღმაშენებლის დროს იწყება, როდესაც ბიზანტიის გავლენისაგან განთავისუფლების მოსურნე კიევის მთავრები ძლიერი მოკავშირის ძიებაში იყვნენ. საქართველოსა და კიევის რუსეთს შორის პოლიტიკური კავშირის გაღრმავებაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის შვილიშვილი, დემეტრე I-ის ასული, კიევის მთავრის იაზისლავ მსტისლავის ძეზე ქორწინდება.

წყარო 5

„უწყოდა (დავითმა) ცივიკართა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა (ბრძოლათა) შინა სიმხნე, სისუბუქე და მიმოსვლა სიფიცხე მიმართებისა...“. მათ ადვილად შეითვისეს ქართული ენა, „და თვით ცივიკალებიცა უმრავლესი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითი-დღე; და სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტესა“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

კითხვები

1. წყარო 4-ისა და 5-ის მიხედვით განსაზღვრე ცივიკალთა ჩამოსახლების მიზეზები.
2. შენი აზრით, რატომ გააკეთა საქართველოს სამეფო კარმა არჩევანი ცივიკალებზე?
3. როგორ ფიქრობ, რა მნიშვნელობა ჰქონდა დავითისა და ცივიკალთა ბელადის ასულის ქორწინებას?

საქართველოსათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობა. და არა მხოლოდ ისტორიული ძნელებლობის უამს, როცა ისინი საქართველოს მეფეებს ჯარს აშველებენ, არამედ ძლიერების ხანაშიაც. XII საუკუნეში საქართველოსა და ჩრდილოკავკასიელებს შორის კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა. ამის მაგალითია საქართველოსა და ოსეთს შორის დამოკიდებულება. როცა მეფე დავითმა ცივიკალების ჩამოსახლება განიზრახა, ცივიკალებსა და ოსებს შორის მდგომარეობა მეტად გართულებული იყო. იქმნებოდა იმის საშიშროება, რომ ოსებს მათთვის საქართველოში ჩამოსასვლელი გზა გადაელობათ. მეფეს ამ ამოცანის განხორციელება სამხედრო ძალითაც შეეძლო, მაგრამ დავითმა პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარება არჩია. საფიქრებელია, რომ დავითის ქალიშვილის ოსეთში გათხოვება ამ მოლაპარაკების უშუალო შედეგი და მისი წარმატების წინაპირობა იყო. ამ ქორწინებით ოსეთისა და საქართველოს სამეფო დინასტიებს ახლა უკვე ერთმანეთთან ნათესაობა აკავშირებდა.

წყარო 6

„აღსანიშნავია, რომ ოსეთის და, საერთოდ, ჩრდილო კავკასიის ტომების ყმადნაფიცობა საქართველოს მიმართ სამხედრო ექსპანსიების ან დაპყრობის გზით არ განხორციელებულა. იგი აღმოცენდა ეკონომიკური და პოლიტიკური მომენტების ბაზაზე. ეს, პირველ რიგში, იმით უნდა აიხსნას, რომ თვით ამ ხალხებს საკუთარი ინტერესები ამოძრავებდა საქართველოს მიმართ. განვითარებული მეურნეობის მქონე და ძლიერი საქართველო სულ უფრო მეტად იზიდავდა თავისკენ მთის მოსახლეობას“.

ზ. ანჩაბაძე, მ. ცინცაძე.

მჭიდრო კავშირი ქართველ და ოს ხალხებს შორის დავითის შემდეგაც გრძელდება. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ დემნა ბატონიშვილის აჯანყების დროს, 1177 წელს, მეფე გიორგის მხარეზე იბრძოდნენ ოსებიც. ოსეთის სამხედრო მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა გიორგი III-ის ბრძოლებში ამიერკავკასიის სახანოების დასამორჩილებლად.

სწორედ ასეთი კავშირები ქმნიდა თამარისა და ოსთა უფლისწულის, დავით სოსლანის, ქორწინების საფუძველს. დავით სოსლანი შთამომავლობით ბაგრატიონთა გვარს უკავშირდებოდა, ოსეთ-საქართველოს შორის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობების სიმტკიცე კი მისთვის ქართულ სამყაროს ნაცნობს ხდიდა. ამას გარდა, დინასტიური ქორწინების გზით, ძლიერ მოკავშირესთან კიდევ უფრო დაახლოვება ქართული მხარისათვისაც მნიშვნელოვანი იყო.

ნიშანდობლივია, რომ ქართული საისტორიო წყაროები, მათ შორის, „ქართლის ცხოვრებაც“, საქართველო-

კავკასიის დამოკიდებულების საკითხს განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებან. მემატინეები აქცენტს ჩვენს შორის თანამშრომლობით ურთიერთობაზე აკეთებენ. ეს ზუსტად შეაძინა ისტორიკოსმა ნ. ბერძენიშვილმა:

წყარო 7

„აქვე ფრიად დამახასიათებელი მომენტი შეინიშნება... ამ დროის „ქართლის ცხოვრებაში“ ორგვარი ომები იცის, ომი კავკასიელ ხალხთა ურთიერთშორის და ომი უცხოელებთან. უცხოელი მტერი ქვეყნის მოშლა-აოხრებასა და ქვეყნის დახარკვა-დამონებას ისახავს მიზნად, კავკასიელ ხალხთა შორის ომი კი ეს უფრო საშინაო ომია, მის შედეგად დაპყრობა-დამონება კი არა, არამედ მონათესავე ქვეყანათა გაერთიანება იგულისხმება ამა თუ იმ მონაწილის ჰეგემონობით.

ამ დროის ქართველ ისტორიკოსთა წარმოდგენაში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, „მატიანე ქართლისაის“ ავტორი, დავითისა და თამარის ხანის ისტორიკოსები...) კავკასია ერთი კულტურული სამყაროა“.

დამოუკიდებელი სამუშაო

იმსჯელე საქართველოსა და კავკასიელი ხალხების ურთიერთობის ორმხრივ მნიშვნელობაზე.

დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა. დიდგორის ომი

§4. დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა. დიდგორის ომი.

საქართველოს გაერთიანების პროცესი საგარეო ძალების მძაფრ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

წყარო 1

„ქვეყნის გარეთაც არაერთი ძალა იყო, რომელიც მონარქიის გაძლიერებას დაუპირისპირდა. ჯერ ერთი არაბი დამპყრობლები, რომლებიც აქ VII საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდნენ, საქართველოს, მის ზოგ ნაწილს მაინც, თავიანთ კუთვნილებად მიიჩნევდნენ; მეორეც, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის მეზობელი – ბიზანტიის იმპერია – ჩვენს ქვეყანას ვასალობის ხელს ადებდა და ყოველნაირად ცდილობდა ქართველი მეფეები თავისი კარის მოხელეებად, თავისი ნება-სურვილის შემსრულებლებად გაეხადა. საამისოდ ბიზანტია არ ერიდებოდა არც საქართველოს საქმეებში ჩარევას, არც უხვ საჩუქრებსა და მაღალი საკარისკაცო ტიტულების მიკუთვნებას ქართველი მეფეებისათვის, არც დიდგვარიანი ფეოდალების მოსყიდვა-გადაბირებასა და სხვა მუხანათური ხერხების გამოყენებას“.

შ. მესხია.

ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყებით დავით აღმაშენებელმა კარგად ისარგებლა. 1097 წ. მან ხარკი შეუწყვიტა თურქეთის სულთანს. ეს ფაქტობრივად ომის გამოცხადებას ნიშნავდა, მაგრამ სულთანს, ჯვაროსნებთან ომებისა და სახელმწიფოს შინაგანი სისუსტის გამო, არ შეეძლო ქართული მხარის გამოწვევის მიღება.

შეიცვალა ბიზანტიასთან დამოკიდებულებაც. სელჩუკებისა და ჯვაროსნების მიერ შევიწროებული ბიზანტია საქართველოსთვის საშიში აღარ იყო. ქართული მხარე მაინც არ წყვეტდა კავშირს კონსტანტინოპოლთან. ამის თვალსაჩინო მაგალითია ის ფაქტიც, რომ დავითმა თავისი ქალიშვილი კომნენოსთა საიმპერატორო სახლის წევრზე გაათხოვა.

ცხადი იყო, გაძლიერებული ქართული სახელმწიფო მთავარი ბრძოლისთვის ემზადებოდა – ყოველმხრივ ალყაში მოაქცია რა თბილისის საამირო, დავითი მისი ალებით საქართველოს გაერთიანების დასრულებას გეგმავდა.

საქართველოს სრულ გაერთიანებამდე კი დავითს თურქ-სელჩუკებთან გადამწყვეტი ბრძოლა ელოდა.

დიდგორის ომის გამომწვევ მიზეზებს მემატინეები სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ.

კითხვა

1. წყაროების 1-ის, 2-ისა და ტექსტის მიხედვით იმსჯელე, რა გავლენა იქონია შექმნილმა საერთაშორისო ვითარებამ დავითის საგარეო პოლიტიკაზე?

წყარო 2

„იყო ვინმე ამირა განძაკის ქვეყნიდან სახელად ხაზი... (1121) წელს მან განიზრახა ბოროტება. ხაზიმ მიიღო (30000) თურქთა ჯარი, შევიდა ქართველთა ქვეყანაში, ერთი ნაწილი ტყვედ წაასხა... წავიდა და დაბანაკდა თავის ადგილას. როდესაც ეს გაიგო ქართველთა მეფე დავითმა, გაგზავნა ქართველთა ქვეყნის ჯარები. ისინი ჩუმად მივიდნენ და თავს დაესხნენ თურქთა ჯარებს. მან მათგან ამოწყვიტა ოცდაათი ათასი კაცი და ყველა მათი ცოლები, მათი ძენი და ურიცხვი ცხვრის ფარა ტყვედ წაასხა. მრავალი და აურაცხელი ნადავლი წაიღო ქართველთა ქვეყანაში. მაშინ თურქთა ჯარიდან დარჩენილებმა დიდი საფრთხის გამო შემოიხიეს თავიანთი სამოსი, თავზე მიწა დაიყარეს და შავი ტანსაცმლით და თავდაუხურავნი გაჰკვიდნენ... და ტირილით ჩიოდნენ (სულთნის) წინაშე თავიანთ დაღუპვას“.

მათე ურჰაეცი, სომეხი ისტორიკოსი.

წყარო 3

„მეფე დავითი, მეფე ქართველთა და აფხაზთა, ძლიერ ავიწროებდა მას (თბილისის საამიროს). მაშინ ისინი (თბილისელები) წავიდნენ სულთან თოდრულთან... საქართველოს მეფის მიერ თბილისელთა შევიწროება მაინც არ წყდებოდა“.

ალ-ფარიკი, არაბი ისტორიკოსი.

საინტერესოა, რომ ანტიოქიის სამეფოს კანცლერი გოტიე თურქ-სელოჩუკთა საქართველოში გამოლაშქრებას უკავშირებს ჯვაროსნული სახელმწიფოების წინააღმდეგ მაჰმადიანური სამყაროს საერთო ომის (იერიშის) დაწყებას.


წყარო 4

„ილ-ლაზის სურვილი იყო, რათა მისი (დავითის) დაღუპვის ან განდევნის შემდეგ თავისუფლად და დაუბრკოლებლად შეუდგეს ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას“.

დავალება 1

1. წყარო 2-ის, 3-ისა და 4-ის მიხედვით განსაზღვრე დიდგორის ომის გამომწვევი მიზეზები.
2. შენი აზრით, რომელი მიზეზი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?

საქართველოზე გამოლაშქრების ინიციატორი იყო ბაღდადის გამგებელი მაჰმუდ მოჰამედის ძე. იგი „ყოველთა სპარსთა და არაბთა“ მოუწოდებდა „ვინც კი სადმე იყო დამასკოდან და ალექოდან მოკიდებული, ყველას, მოლაშქრების შემძღეს“ ამ ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. სალაშქროდ გამზადებულ ჯარს ცნობილი მხედართმთავარი, ჯვაროსნების წინააღმდეგ ომებში სახელმძღვანელო ილლაზი (ნემჯ-ედ-დინი) წინამძღოლობდა. ილლაზის ლაშქრის რაოდენობის შესახებ დაზუსტებული ცნობები არ მოგვეპოვება.



წყარო 5

„... სულთანნი და თვით ილლაზი 600000 მეომრით მეფის ქვეყანაში საომრად შესულან, მეფე დავითი, წმინდა ჯვრის ნიშნით აღჭურვილი, 80000 ათასი ქრისტიანი მეომრით, ორ მთას შუა მდებარე, ტყით დაბურულ ხეობაში გაჩერდა, საიდანაც მტრის შეტევას ელოდნენ“.

გოტიე.

სურ. 3.1.4.1. თურქების ლაშქარი.

წყარო 6

„მივიდა (დავით მეფე) თურქთა ჯარების წინააღმდეგ ორმოცი ათასი ძლიერი და გულადი ჯარისკაცი და გამოცდილი მეომრით. მას ჰყავდა სხვა ჯარებიც ყივჩაღთა მეფისაგან, თხუთმეტი ათასი გულადი და რჩეული, ხოლო ალანთა ტომისაგან ხუთასი კაცი და ფრანგი ასი“.

მათე ურჰაელი, სომეხი ისტორიკოსი.

კოალიციური ლაშქარი თბილისთან ახლოს დაბანაკდა. მოკავშირეები დათქმულ დროს მანგლის-დიდგორის მიდამოებში შეიკრიბნენ.

კითხვები

1. რომელი წყაროს მონაცემები გეჩვენება გაზვიადებულად?
2. როგორ ფიქრობ, რატომ არ გამოიყვანა დავითმა ბრძოლის ველზე ორმოციათასივე ყივჩაღი მეომარი?
3. შენი აზრით, რაზე მიუთითებს დავითის ჯარში ოსთა და „ფრანგთა“ მონაწილეობა.

დიდგორის ბრძოლა 1121 წლის 12 აგვისტოს გაიმართა. ბრძოლის დაწყების წინ დავით აღმაშენებელმა მეომრებს ასე მიმართა:

საქართველოში

საქართველოში

წყარო 7

„ქრისტეს მეომრებო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძობთ, არათუ ეშმაკის ურიცხვ მიმღევარს, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ის რომ, ჩვენ ყველამ ხელების ცისკენ აპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე მოვკვდებით და არ გავიქცევით. და გინდაც გვინდოდეს, გაქცევა რომ ვერ შევძლოთ, ამ ხეობის შემოსასვლელი, საიდანაც შემოვედით, ხეების მორებით ჩავხერგოთ...“



სურ. 3.1.4.2. დიდგორი.

მაშინვე, ხეობის მეორე მხარეს მეომრების ძლიერი ყიჟინით, ცხენებისა და საჭურველის უკიდურესი ხმაურით, სხვადასხვაგვარ საკრავთა ღრინაცვლით, ურჯულთა ზარდამცემი ბაირაღებით ჩნდებიან (მოწინააღმდეგეები). ხოლო მეფე დავითი ამდენ სიმხეცეს მოთმინებით იტანს, თავისიანებს მამაცი სულით ამხნეებს და ანუგეშებს. უმტკიცებს რწმენას, რომ ურჯულთა გაამაყებული სიმრავლე, წმინდა ჯვარის ძალით და შეწევნით, ნაკლები ჯარით, სწრაფად დამარცხდება...“

მეფემ თითოეული რაზმი დააწყო, ხოლო ორასი ფრანგი მეომარი დააყენა მოწინავეებად, პირველ დაკვრათა მოსახდენად... და მტერიც ეცემოდა ძირს ფრანგების ხელისაგან და უწესრიგოდ იფანტებოდა“.

გოტიე.

სხვა ცნობით, ორასი მოწინავე მებრძოლი ყივჩაღი იყო. ისინი ბრძოლის დაწყების წინ გამოეყვინნ ქართველთა ლაშქარს და მოწინააღმდეგის ჯარისაკენ დაიდრნენ. მოლაღატეებად მიჩნეული ყივჩაღები (ზოგიერთი ცნობით კი ქართველი მხედრები) მტერს დაუბრკოლებლად შეუშვია საკუთარ რიგებში.

თურქთა ლაშქარი დაბნეულობას მოუცავს, მათი რიგების სიმწყობრე სარდლებს ვეღარ აღუდგენიათ, რაც ქართველთა ჯარის სწრაფი გამარჯვების მიზეზი გამხდარა.

ომში გამარჯვებას მრავალი დიდებული მუსლიმანის დატყვევება მოჰყვა – „გლეხებმაც კი ნახეს, როცა ქართველ მოლაშქრეებს არაბთა მეფეები მოჰყავდათ ტყვედ“ (დავითის ისტორიკოსი). შთამბეჭდავი იყო სამხედრო ალაფის რაოდენობაც.

წყარო 8

„ცხენებისა და დაყრილ იარაღ-საჭურველისაგან დაიფარა ყოველნი პირნი ველთან“.

მათე ურჰაელი.

„მათ (ქართველებმა) დიდძალი სიმდიდრე წაართვეს მუსლიმანებს“.

ალ-ფარიკი.

„ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად (უფრო მეტად) ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვერცხლთა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, სრა-ფარდაგებითა, სხვათა უცხოთა ჭურჭლებითა (იარაღებითა) საბრძოლელითა... სასმურთა ტურფათა (ძვირფასთა) და სანადიმოთათა... რომელმან ქარტამან (ქალაქი) და მელანმან დაიტიოს აღწერად“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

დავლება 2

1. წყარო 7-ის მიხედვით შეაფასე დავითი, როგორც მხედართმთავარი.
2. ტექსტისა და წყარო 8-ის მიხედვით იმსჯელე, რა სამხედრო სტრატეგიებს მიმართა დავითმა და აღნიშნე თითოეულის მნიშვნელობა.
3. შენი აზრით, რაზე მიუთითებს ბრძოლის წინ დავითის მიმართვაში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი საქრისტიანოს დაცვისაკენ მოწოდება (წყარო 7)?
4. შენი აზრით, რატომ აღწერენ მემატიანეები სამხედრო ალაფს (წყარო 8)?

წყარო 9

დიდგორის ომის შემდეგ:

„აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი (1122 წ.), პირველსავე ომსა, ოთხას წელს ქონებული სპარსთა, და დაუმიკვიდრა შვილთა თვისთა საჭურჭლედ და სახლად თვისად საუკუნოდ“.

„ქართლის ცხოვრება“.

„მას შემდეგ, რაც დამარცხებულ იქნა (მუსლიმანთა) ლაშქარი, დაბრუნდა აფხაზთა მეფეც და თბილისთან

დაბანაკებულმა ალყა შემოარტყა მას. ხოლო შემდეგ მახვილით დაუფლა (თბილისს) და შევიდა ქალაქში... მან გაძარცვა იგი და ცეცხლს მისცა მისი დიდი ნაწილი. შემდეგ კი შეიწყალა მცხოვრებნი და კარგად ეპყრობოდა მათ. დაუდგინა მათ ის პირობები, რომელიც თვით ირჩიეს“.

ალ-ფარაჰი, არაბი ისტორიკოსი.

მიუხედავად თბილისის მოსახლეობისადმი მკაცრი ანგარიშსწორებისა, თვით მაჰმადიანი ისტორიკოსებიც კი ვერ ფარავენ გაკვირვებას იმ ტოლერანტული დამოკიდებულების გამო, რაც გამარჯვებულმა მეფემ გამოიჩინა ქალაქის მუსლიმი (ზოგადად, არაქართველი) მაცხოვრებლებისადმი.

წყარო 10

„დაადგინა, რომ ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმანები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის; მან მოჭრა მათთვის მონეტა ხალიფასა და სულთნის სახელით; და მისცა მათ უფლება აზანისა (ლოცვაზე მოწოდებისა) და თავისუფლად ლოცვისა. დაუღო მათ პირობა აგრეთვე, რომ არც ქართველი, არც ებრაელი და არც სომეხი არ შევიდოდა ისმაილის (მუსლიმანების) აბანოში, და რომ პარასკევ დღეს მინბარიდან (კათედრიდან) ილოცონ ხალიფას და სულთნისათვის და არა მისთ-

ვის (საქართველოს მეფისთვის). მან დააწესა გამოსაღები ყოველწლიური, ქართველისათვის – 5 დინარი, ებრაელისათვის – 4 დინარი, ხოლო მუსლიმანისათვის – 3 დინარი... იგი ისე კეთილად ეპყრობოდა მუსლიმანებს და აგრეთვე მათ სარწმუნოებას, მეცნიერებას, ხალხსა და სუფიებს, როგორც მათ არ ჰქონდათ თვით მუსლიმანებს შორის. მე თვით ვნახე, როცა მივედი მათთან (თბილისელ მუსლიმანებთან) 1153 წელს, თუ როგორ ძალაშია მუსლიმანთათვის ყველა ეს პირობა აქამდე“.

ალ-ფარაჰი.

წყარო 11

„დავითის მიერ სასახლის აგება მუსულმან მწერლებისათვის იმის მოწმობაა, რომ ეს მწერლები თბილისში ჩვეულებრივი ამბავი იყო არა მხოლოდ XII საუკუნეში, არამედ უფრო წინადაც; ხოლო დავითის და მისი ძის დემეტრეს მუსულმანური განათლება იმის მოწმობაა, თუ როგორ ზიარებულნი იყვნენ ქართველი ფეოდალები სპარსულ-არაბულ კულტურას... რაც არ უნდა იყოს, არაბული მმართველობა თბილისში 400 წელს გრძელდებოდა და ეს მუდმივი ომის ასპარეზი კი არ იყო, არამედ მშვიდობიანი თანაცხოვრების და კულტურული ურთიერთზემოქმედების ხანა...“.

ნ. ბერძენიშვილი

კითხვები

1. წყარო 9-ის მიხედვით განსაზღვრე, რა კავშირია დიდგორის გამარჯვებასა და თბილისის აღებას შორის?
2. როგორ ფიქრობ, რით იყო გამოწვეული თბილისის მოსახლეობისადმი მკაცრი ანგარიშსწორება?
3. წყარო 10-ისა და 11-ის მიხედვით, როგორ ფიქრობ, რამ განაპირობა დავითის მხრიდან თბილისის არაქართველი მოსახლეობისადმი გამორჩეული შემწყნარებლობა?
4. რა შეფასებას აძლევენ უცხოელი ისტორიკოსები დავითის დამოკიდებულებას მუსლიმი მოსახლეობის მიმართ?

დავალება 3

შეაფასე თბილისის საამიროს შემოერთების მნიშვნელობა.

საქართველოს გაერთიანება და გათავისუფლება 1123 წელს დმანისის დაკავებით დასრულდა.

1124 წელს დავითმა შარვანზე გაილაშქრა. თავის მხრივ, შარვანელებმა სულთანს მიმართეს დახმარების თხოვნით, ევედრებოდნენ „მართლმორწმუნე მუსლიმანების“ დაცვას „ქრისტიანი მეფის მოძალეებისაგან“.

წყარო 12

„წარემართა შარვანს (დავითი) და აღიღო ქალაქი შამანია და ციხე ბირიტი... სრულად ყოველი შარვანი.

... დაუტევნა ციხეთა და ქალაქთა შინა ლაშქარნი დიდნი, ჰერნი და კახნი. და განმგებლად და ზედამხედველად ყოველთა საქმეთა მანდაურთა აჩინა მწიგნობართუხუცესი თვისი სვიმონ, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

შარვანისათვის ბრძოლის პარალელურად საქართველოს სამეფო კარმა სომხეთზეც გაილაშქრა და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიკავა, მათ შორის ანისი – სომხეთის ძველი დედაქალაქი.

წყარო 13

„ქართველთა მეფე დავითმა მოახდინა სპარსთა ჯარების სასტიკი ჟლეტა, თითქმის 20000 კაცი მოსპო და აიღო სომეხთა სატახტო ქალაქი ანისი... მან გაათავისუფლა მონობისაგან ანისი, რომელიც 60 წელს იმყოფებოდა ტყვეობაში.. და იყო სიხარული ყოველი სომეხის სახლში.“

მათე ურჰაელი, სომეხი ისტორიკოსი.

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო დაკავებული ტერიტორიების სახელმწიფოსადმი შემოერთებისაკენ, ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისაკენ, რაც სხვა ხალხების პოლიტიკური თავისუფლების შესაძლებლობას გამოიწვევდა.

წყარო 14

საგარეო პოლიტიკაში დავითი „... მხარს უჭერდა ქვეყნების უშუალოდ სამეფოდ დაპყრობას. ყმადნაფიცობას დავითი არ იწყნარებდა. და მან, მართლაც, არაერთი „სახლი“ შერთო „თავის სახლს“. დავითმა

დაიპყრო ჰერეთ-კახეთის სამეფო, ლორე-ტაშირის სამეფო, ანისის სამეფო, შარვანის სამეფო და ყველგან თავისი მოხელეები დასხა“. ქვეყნის შიგნით კი „დავითმა დაამხო დიდებულთა ქედმაღლობა და ერისთავს მეფის მოხელეობა აკმარა.

დავითის პოლიტიკის მიხედვით მთელი ქვეყანა უნდა სამეფო საქონებელი ყოფილიყო, რომელიც აზნაურების (საერთოდ მოხელეების) სარგებლობაში იქნებოდა გადაცემული პირადი სამსახურის პირობით“.

ნ. ბერძენიშვილი.

დავალება 4

1. წყარო 12-ისა და 13-ის მიხედვით დაახასიათეთ და შეაფასეთ დავითის პოლიტიკა კავკასიის სახელმწიფოების მიმართ.
2. წყაროს 14-ის მიხედვით, რა სტატუსით სარგებლობდნენ დავითის მიერ დამორჩილებული ქვეყნები? რამდენად სწორად მიგაჩნიათ მსგავსი პოლიტიკა?

ეს საინტერესოა:

საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა იყო. დიდ ქალაქებში, განასაკუთრებით თბილისში, ქართველ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდნენ სომხები, ებრაელები, არაბები, სპარსელები, თურქები. ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე კიდევ უფრო გაიზარდა დავითის საგარეო პოლიტიკის შედეგად. საქართველოში უკვე დიდი რაოდენობით დამკვიდრდნენ ყივჩაღები, ხოლო შარვანისა და ანისის შემოერთებამ გაზარდა მაჰმადიანთა (შარვანელები) და სომეხთა (ანისელები) რაოდენობა. სახელმწიფოს სიმტკიცე კი სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხების მშვიდობიან თანაარსებობაზე იყო დამოკიდებული.

ქართული და სომხური წყაროები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ სამეფო კარის დამოკიდებულებაზე სომხების მიმართ. და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ქართველ და სომეხ ხალხს პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო მოკავშირეობის ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება ჰქონდათ. სომეხი მოლაშქრეები დავით აღმაშენებელსაც დიდ დახმარებას უწევდნენ თურქ-სელჩუკთაგან კავკასიის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

წყარო 15

„იყო მეფე დავით წმინდა და სათნო, ყოვლად შექმული ღვთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიძღები და მოყვარული სომეხთა ტომისა და მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი“.

მათე ურჰაელი.

მიღწეულმა წარმატებებმა მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოსა და მისი საჭეთმპყრობლის საერთაშორისო ავტორიტეტი. გუშინდელი მეტოქეები ახლა უკვე მონღოლებით ცდილობდნენ დავით მეფესთან მშვიდობიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას.

დავით აღმაშენებელი

დავით აღმაშენებლის საგარეო პოლიტიკა. დიდგორის ომი

წყარო 16

მეზობელი ქვეყნების მმართველები „ზედიზედ წარმოავლენდა მოციქულებს ძღვენით მის (მეფის) დასამშვიდებლად; და ავზავნიდა დიდ საგანძურს, ძვირფასს, მრავალფერს, უცხო და იშვიათ საპოვნელ ფრინველებსა და ნადირთ და ეძებდა მშვიდობასა და სიყვარულსა და ყივჩაღთაგან დაურბევლობას. არაფრად მიიჩნევდა წარსაგებლის სიმრავლეს (ხარჯის სიდიდეს), ოღონდაც თვითონ მოეპოვებინა სიმშვიდე და სიცოცხლე თავისი...“.

„ქართლის ცხოვრება“, დავითის ისტორიკოსი.

დავალება 5

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებელმა გაილაშქრა და აიღო სომხეთის დედაქალაქი და ქვეყნის ნაწილი დაიკავა, როგორ ფიქრობ, რატომ ახასიათებენ სომეხი ისტორიკოსები დავით აღმაშენებელს დადებითად (წყაროები 13; 15)?

დავითის მეფობას ობიექტური შემფასებელი არასოდეს აკლდა. ქართველი თუ უცხოელი ისტორიკოსები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ მის ნიჭიერებას, დიდბუნოვნებას, მისი ნაღვაწის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენი ერის ისტორიაში.

დავითის ღვაწლის წარმოჩენას არაერთი მეცნიერული ნარკვევი, ლიტერატურული თუ ხალხური ნაწარმოები მიეძღვნა. მათ შორის, მეფის თანამედროვის, დიდი საეკლესიო მოღვაწისა და მწიგნობრის არსენ იყალთოელის ეპიტაფიაც:

„ვინ ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწი ამათსა მოქმედსა გულზედან ხელი დამესხნეს“.

განმარტებები

კოალიციური – გაერთიანებული.

ალანი – ოსი.

სომხითი – ქვემო ქართლის ერთ-ერთი პროვინციის სახელწოდება; მოიცავდა სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოებს.

ალაფი – ომში მოპოვებული ნადავლი.

ნაჭარმაგევი – ნაჭარმაგევი – მეფეთა რეზიდენცია ქართლში, გორის მახლობლად.

სუფიზმი – თეოლოგიური-ფილოსოფიური მიმდინარეობა ისლამში.

სუფიები – ამ მიმდინარეობის მიმდევარნი.

II თემა. საქართველო დემეტრე პირველისა და გიორგი მესამის მეფობის დროს

§1. საგარეო პოლიტიკური ურთიერთობანი

დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების, მისი ძის – დემეტრე I-ისა და შვილიშვილის – გიორგი III-ის მეფობის დროს საგარეო პოლიტიკის მთავარი მიზანი სომხეთისა და შარვანის საკითხის მოგვარება იყო. როგორც ვიცით, დავით აღმაშენებელმა ანისი და შარვანი უშუალოდ საქართველოს სამეფო ტახტს დაუქვემდებარა, რასაც, ბუნებრივია, მეზობელი მაჰმადიანური სახელმწიფოების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ბრძოლა ხანგრძლივი და დაუნდობელი იყო, შედეგები კი – ცვალებადი.

XI საუკუნის დასასრულიდან საერთაშორისო მდგომარეობა საქართველოსთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა, რადგან დინასტიურმა ბრძოლებმა კრიზისმა და ჯვაროსანთა შეტევებმა თურქ-სელჩუკთა ძალა შესუსტა და მათმა იმპერიამ რღვევა დაიწყო. საქართველოს პოზიციებს აძლიერებდა ისიც, რომ მის ირგვლივ გაერთიანდნენ ამიერკავკასიის ხალხები, რომლებიც ქართველთა მხარდამხარ იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

დავით აღმაშენებლის შემდეგ „მრავალი შევიწროება განიცადა ანისმა სპარსელთა ლაშქრისაგან“, წერს მემატეანე. დემეტრე I იძულებული გამხდარა ანისი ყმადნაფიცობის პირობით დაეთმო. ქალაქის ახალი მმართველი დავით IV-ის მიერ დატყვევებული ამირას შვილი, ფადლონი, გახდა.

წყარო 1

ფადლონმა „... დავით მეფის სიკვდილის ამბავი შეიტყო თუ არა, მამისეული ქალაქის ანისის სათხოვნელად წამოვიდა და თხოვნით მიმართა ... ქალაქის უხუცესებს“.

ვარდან არველცი, სომეხი ისტორიკოსი.

ფადლონმა 1126 წელს ანისი დაიბრუნა, შემდგომ კი, უფრო მეტად გაძლიერებულმა, დვინი და განძა დაიკავა. საქართველოს მეფეს რამდენიმე მოთხოვნა მაინც წაუყენებია ფადლონისათვის.

წყარო 2

„მანუჩეს შვილებმა (ე.ი. ფადლონმა) დასდეს მტკიცე ფიცი, რომ წმინდა კათოლიკე (კათედრალური ეკლესია), რომელიც ანში მდებარეობდა, სამუდამოდ სომხებს ექნებოდათ და არ შეუშვებდნენ მასში... მუსულმან ხალხს“.

მათე ურჰაეცი, სომეხი ისტორიკოსი.

ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ საქართველოს მეფის ზრუნვა ანისის კათედრალისათვის და მისი დაცვა მამამისის პოლიტიკური ხაზის გაგრძელების სურვილის მანიშნებელია. ამრიგად, ანისი გადაეცათ შედადიანთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ყმადნაფიცობისა და ქალაქში ქრისტიანთა გარკვეული უფლებების დაცვის პირობით.



სურ. 3.2.1.1. ანისი.

კითხვები

1. ტექსტისა და წყარო 1-ისა და 2-ის მიხედვით გააანალიზე, რამ განაპირობა დემეტრე I-ის მიერ ანისის შედადიანთათვის დათმობა?
2. რამდენად ეთანხმები ისტორიკოსთა აზრს, რომ დემეტრე მამის პოლიტიკური კურსის გამგრძელებელია?

ეს საინტერესოა:

არაბი ისტორიკოსის ალ ფარიკის ცნობით, ანისის მფლობელ ფაზრ ად-დინ შადადს მოციქული გაუგზავნია არზრუმის ამირა სალდუხთან და ქართველთაგან თავის დახსნა უთხოვია. ამასთანავე, ანისისკენ დაძრული ჯარის შესახებ დემეტრესთვისაც უცნობებია. დემეტრე ანისიდან ერთი დღის სავალზე მდგარა. მან სძლია და დაატყვევა სალდუხი, მაგრამ მაჰმადიან მფლობელთა შუამდგომლობით გაათავისუფლა. ამისათვის საფასურად მიიღო 100 000 დინარი. ალ ფარიკისავე ცნობით, შედადმა ამირას შესთავაზა, შენი ვასალი ვიქნები და ხარკსაც შენ მოგცემო.

კითხვები

1. როგორ ფიქრობ, რატომ უმუხთლა ანისის მმართველმა სალდუხს?
2. როგორ ფიქრობ, რატომ გაათავისუფლა შეპყრობილი ამირა სალდუხი მეფე დემეტრემ?



სურ. 3.2.1.2. დემეტრე I.

მიუხედავად შეთანხმებისა, ანისში ქრისტიან სამღვდელოებასა და შედადიანებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. ქალაქის მოსახლეობა უკმაყოფილო იყო მმართველობით და აუჯანყდა კიდეც ამირა შედადს, წაართვა მას ქალაქი და მის ძმას, ფადლონს, გადასცა. თუმცა ვერც ფადლონმა გაუმართლა იმედები მოსახლეობას – ანისის მაცხოვრებლებმა ისიც დაამარცხეს და ქალაქი მეფე გიორგი III-ს შესთავაზეს. გიორგიმ ისარგებლა შექმნილი ვითარებით, შედადიანთა ოჯახი ფადლონითურთ დაატყვევა და ქალაქი დაიკავა.



წყარო 3

„ამის შემდეგ მეფემ უკვე „ხელთ იგდო ქალაქი ნებისაებრ თვისისა და... დაიმჭირა სადგომად, ტახტისა მისისა შესანახავად და გასამაგრებლად“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“.

ქართველთა მიერ ანისის დაკავება მეზობელი სახანოების (ხლათის, დიარბექრის, არზრუმის და სხვ.) მმართველთა წინააღმდეგობა გამოიწვია.

წყარო 4

„გაიმართა ბრძოლა ქართველებსა და არზან არ რუმის (არზრუმი) მფლობელ მეფე სალთიკს შორის. ქართველებმა სძლიეს მოწინააღმდეგეს და განადგურეს სალთიკის ლაშქარი. თვითონ სალთიკი შეიპყრეს და ტყვეობიდან მხოლოდ მაშინ გაათავისუფლეს, როდესაც მისმა დამ... ქართველთა მეფეს ძვირფასი საჩუქრები გაუზავნა და ძმის განთავისუფლება სთხოვა“.

სურ. 3.2.1.3. გიორგი III.

გ. სილაგაძე.

მეფე გიორგი ანისის შემდეგ ღვინით დაინტერესდა, „ღვინი არს არარატის ძირსა ზღუარი სომხეთისა და ადარბადაგანისა“. აიღო ქალაქი და ნაალაფევით დაბრუნდა უკან.

მოგვიანებით, ანისისთვის ბრძოლები კვლავ განახლდა. ძლიერ დაზარალდა ანისისა და შირაქის მოსახლეობა. შეუძლებელი შეიქნა მიწის დამუშავება. ყოველივე ამან მეურნეობის სხვა დარგების დაქვეითებაც გამოიწვია. ათაბაგმა ელდიგუზმა მეფე გიორგის დაზავება შესთავაზა. გიორგი მეფეს ანისის დათმობა მოუხდა ყმადნაფიცობის პირობით. დაახლოებით 10 წლის შემდეგ გიორგიმ კვლავ დალაშქრა ქალაქი და იქ მმართველად ივანე ორბელი დაადგინა. მაგრამ ორბელი განუდგა მეფეს და, როცა ანისს სულთანმა არსლანმა და ათაბაგმა ელდიგუზმა შემოუტყვეს, ის, შედავათიანი პირობების სანაცვლოდ, მზად იყო თურქებისათვის დაეთმო ქალაქი. თუმცა გიორგიმ ეს წინააღმდეგობაც დაძლია.

კითხვები

1. როგორ ახასიათებენ წყარო 3 და 4 მეფე გიორგი III-ს?
2. როგორ ახასიათებს ტექსტში მოტანილი ინფორმაცია ივანე ორბელს?

სელჩუკიანები ცდილობდნენ შარვანზე საკუთარი გავლენის აღდგენას. შარვანის ადგილობრივი მოსახლეობაც წინააღმდეგი იყო, რომ საქართველოს მორჩილებაში დარჩენილიყო და ამიტომ დემეტრე I იძულებული გახდა კომპრომისზე წასულიყო.

საქართველო XII საუკუნის დასაწყისში

საქართველო XII საუკუნის დასაწყისში

წყარო 5

„შარვანის ქვეყანა ორად გაყვეს, აღმოსავლეთ ნაწილში შარვან შაჰის ხელისუფლება აღადგინეს და ეს ქვეყანა ამიერიდან, ისევე, როგორც დარუბანდის ქვეყანა, საქართველოს მეფის ყმადნაფიცობაში იმყოფებოდა... შარვანის დასავლეთი ნაწილი საკუთრივ საქართველოს საზღვრებში შემოიტანეს. ასე რომ, ამიერიდან საკუთრივ საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთის საზღვარი ქ. შამახის ახლოს ... მდინარე თეთრწყალზედ გადიოდა“. შარვან შაჰი ვალდებული იყო საჭიროების შემთხვევაში საქართველოს მეფის განკარგულებით გამოეყვანა „რაოდენი ათასი კაცი უბრძანის“.

ლაშა-გიორგის მემატიანე.



სურ. 3.2.1.4. შარვანი და მეზობელი სამეფოები.

შარვანის შაჰები გიორგი III-ისა და თამარ მეფის ხანაშიც საქართველოს ტახტის მორჩილებაში არიან. შარვანშა (შირვანის შაჰი) „მონებდა და მსახურებდა მონებითა ყმებრივითა“.

დავლება 1

1. შესწავლილი მასალის მიხედვით განსაზღვრე, რატომ ინტერესდებოდნენ საქართველოს მეფეები ანისის, განძის, რანის, შარვანის საკითხით.
2. როგორ ფიქრობ, ტექსტსა და წყაროებში აღწერილი მოვლენები უწყობდა თუ არა ხელს კავკასიის მოსახლეობის შეკავშირებას? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

XII ს-ის 70-იან წლებში მცირე ხნით მშვიდობამ დაისადგურა. დიდებულებმა მეფეს მოახსენეს: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“.

წყარო 6

გიორგი მეფემ „ლაშქარი რამდენიმე მიმართულებით გაგზავნა. ტაოელთ, შავშთ და კლარჯთ უბრძანა ოლთისის და ბანას ოლქების მორბევა, მესხთ და თორელთ კლდეკარისა და აშორნიის მხარეების, ამირსპასალარს სომხითართა (ქვ. ქართლი) ლაშქრით – მტკვრის მარჯვენა სანაპიროსი განძამდე, ლიხთიმერთ და ქართლის ლაშქარს განძიდან მოყოლებული მტკვრის ორივე ნაპირის მორბევა ხლათამდე, შაჰ-არმენის სამფლობელომდე, ჰერ და კახ მოლაშქრეებს – ალაზნის შესართავიდან შარვანამდე.“

“ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი”.

დავლება 2

1. როგორ გეხმის დიდებულთა მოთხოვნა – „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“.
2. წყარო 6-ში მითითებული მიმართულებებით კონტურულ რუკაზე გაავლე ფერადი ისრები და აღნიშნე ლაშქრის მიერ დარბეული ტერიტორიები სხვადასხვა ფერით. იმსჯელე, რა შედეგებს გამოიღებდა (პოლიტიკური, სამხედრო, სავაჭრო) აღნიშნული ტერიტორიების დარბევა, შეაფასე ეს ფაქტი.

დამოუკიდებელი სამუშაო

1. განსაზღვრე დემეტრე I-სა და გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკური კურსის სავარაუდო შედეგები საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის.
2. შეადარე დემეტრე I-სა და გიორგი III-ის საგარეო პოლიტიკური კურსი დავით აღმაშენებლისას.

განმარტებები

- კომპრომისი** – ურთიერთდათმობის გზით მიღწეული შეთანხმება.
- აზმა (მრ. აზმანი)** – (ძვ. ქართ.) ქებათა-ქება.

§2. საშინაო პოლიტიკა

ა) დემეტრე I

დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, საქართველოს შიგნით მშვიდობის დამყარებამ ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

წყარო 1

„ოდეს დიდმან დავით ტფილისი აიღო, ჰერეთი და კახეთი მოირთო, ციხეთა და ქალაქთაგან კიდე კაცი არსადა იყო...საჭირო იყო გაუკაცრიელებულ სოფლებში ხალხის ჩასახლება, სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარება. დემეტრე I-მა ამ მხრივ დიდი ღონისძიება გაატარა, რის შედეგად მის მეფობაში განახლდა და მოშენდა ჰერეთი, სომხითი ტაშირი, ჯავახეთი, მქუენა არტაანი და ზენა არტაანი ... და ტაოს ნაპირნი“

„ქართლის ცხოვრება“.

კითხვა

წყარო 1-ის მიხედვით სად და რატომ ჩაასახლა დემეტრე I-მა მოსახლეობა? შეადარე ეს პროცესი დავით IV-ის მიერ განხორციელებულ იმავე ტიპის ღონისძიებებს (ყივჩაღთა ჩამოსახლება).

ქვეყანაში წესრიგის განმტკიცების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შორის გასაკუთრებით მნიშვნელოვანია კანონი „მეკობრე-მპარავთა“ შესახებ. გიორგი III-ის დროს დასტურდება მოხელეთა – „მპარავმძებნელთა“ არსებობა, რომლებიც დამნაშავეთა ძებნა-შეპყრობას ახორციელებდნენ. განსაკუთრებულ გამოუსწორებელ მეკობრე-დამნაშავეებს მკაცრად სჯიდნენ.

წყარო 2

„...მპარავი და მეკობრე მოსპო, რადგან... სჯულად დასდო მცირისა და დიდისა საქმისათვის უწყალოდ ყოვლისა კაცისა ძელზე აღბა“.

ვარდან არველცი, სომეხი ისტორიკოსი.

„მპარავმძებნელთა“ და „ჩენილთა“ მოვალეობას შეადგენდა მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა, შეპყრობა, გასამართლება, განაჩენის სისრულეში მოყვანა. ევროპულ სახელმწიფოებში, კერძოდ საფრანგეთში, ამ ტიპის სამძებრო ღონისძიებების შემუშავება და ამოქმედება ცენტრალური ხელისუფლების აღმავლობისა და დაწინაურების ნიშანია, რაც მმართველობის განმტკიცებას უწყობდა ხელს, რადგან სამეფო ხელისუფლება სამძებრო პროცესების წარმოებითაც იბრძოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც წინ გადაეღობებოდა მის ზრახვებს.

XII საუკუნის შუა ხანებში სახელმწიფოს წინაშე პრობლემად იდგა ფეოდალთა შორის ურთიერთდამოკიდებულება. ამ პერიოდისათვის მეფე ერთპიროვნული მმართველია და საკუთარი ძალაუფლების განმტკიცებისათვის სათავისოდ იყენებს ფეოდალური არისტოკრატიის შიგნით არსებულ წინააღმდეგობებს.

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ დემეტრე I-ის ტახტზე ასვლა ხელსაყრელ მომენტად ჩათვალეს მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგეებმა. მათ გამოიყენეს დავითის ანდერძი, სადაც ის დემეტრეს უბარებს: „ძმა მისი (ვახტანგი) გაზარდოს. და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცოტა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა“. ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ანდერძის ეს ადგილი ყალბია.

წყარო 3

„ფლობა ხელმწიფებისა“ ჩვეულებრივ უფროს, ანუ უხუცეს შვილს ეკუთვნოდა... მეფობა პირმშობის უფლებაზე იყო დამყარებული“

ივ. ჯავახიშვილი

კითხვები

1. რამდენად საჭირო, ან აუცილებელი იყო სახელმწიფოსთვის სამძებრო პრინციპზე დაფუძნებული ორგანიზაციის შექმნა? რომელ თანამედროვე უწყებას მოგაგონებთ „მპარავმძებნელთა“ სამოხელეო ინსტიტუტი?
2. ტექსტის, მასში მოხმობილი დავითის ანდერძის ამონარიდისა და წყარო 2-ის საფუძველზე აღნიშნე, რა არგუმენტებს ეფუძნება ნ. ბერძენიშვილის მოსაზრება?

საქართველო ახლანდელი ისტორიის დრო

შინაპოლიტიკური მდგომარეობა

ნ. ბერძენიშვილი თვლის, რომ ანდერძის ეს ნაწილი შეთხზეს დემეტრეს მოწინააღმდეგეებმა. დადასტურებულია, რომ დემეტრეს მართლაც ეცილებოდა სამეფო ტახტს თავისი ძმა და მას მხარს მსხვილი ფეოდალი ივანე აბულეთის ძე უჭერდა. ეს ის აბულეთია, რომელმაც არ უერთგულა მეფეს და ანისი მოწინააღმდეგეებს გადასცა.

სომეხი ისტორიკოსის, ვარდან არველცის ცნობით, „უფლისწულს და ივანე აბულეთის ძეს უნდოდათ დემეტრეს... მოკვლა“, რისთვისაც ხელი შემდგომ თავად აბულეთს შეუშლია და დემეტრეს ძმის შეპყრობაშიც დახმარება.

განსაკუთრებული სიმწვავეთა წარმართა დაპირისპირება დემეტრე I-სა და მის უფროს ვაჟს, დავითს, შორის. ცნობილია, რომ მეფე „მარჩვეელი იყო ძისა უმცროსისა“, ე.ი. უპირატესობას თავის უმცროს ძეს – გიორგის ანიჭებდა, ამ გარემოების ნამდვილი მიზეზი კი უცნობია. დავითი აღუდგა მამას და ტახტის დაუფლება სცადა. თავდაპირველად დემეტრემ სძლია უფლისწულს, მაგრამ ხელმეორედ ამბოხის შემდეგ, 1155 წელს, ის ტახტიდან გადადგა და მონასტერში ბერად აღიკვეცა.

წყარო 4

„დემეტრეს შემდეგ გვირგვინი მისმა ვაჟმა, ჭკვიანმა და კეთილმა დავითმა მიიღო. მან ციხიდან გამოიყვანა მამის მიერ შეპყრობილი თირქაში (აბულეთის სხვა ძე), დააყენა მხედართმთავრად და ერთი თვის შემდეგ გარდაიცვალა.“

ვარდან არველცი.

წყარო 5

„დემეტრე I-ის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი, განსაკუთრებით იმ დიდებულთა მიმართ, რომლებიც მის ხელთ იმყოფებოდნენ. მან მეტად განადიდა პატივით ქალაქ ტფილისის სატრაპი... იმდენად კეთილგულოვნება გამოიჩინა, რომ გაგზავნა (კაცი) და იხმო მეფე კვირიკე, მეფე დავით ბაგრატიუნის (სომხეთის ყოფილი მეფის) შვილი და დაპირდა მას, რომ დაუბრუნებდა მის სამკვიდრებელს, რომელიც თავის წინაპრებს ჩამოერთვათ მისთვის. და ამგვარად დასაჩუქრებული გაამგზავრა ის და შეუთანხმდა (მომავალი) შეხვედრის შესახებ. სურდა, აგრეთვე, შეეკრიბა ხალხი, რათა გაეგო ჭეშმარიტება სარწმუნოების შესახებ და ამრიგად პატივი ეცა მართლმადიდებლობისათვის.“

მხითარ გოში, სომეხი ისტორიკოსი.

დავით V-მ მხოლოდ 6 თვე იმეფა. ქართული ისტორიული წყაროები მეფის უეცარი გარდაცვალების შესახებ არაფერს გვიაბობენ. მაგრამ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ თითქოს მიგვანიშნებს, რომ დემეტრე ურჩი შვილის სიკვდილს ღმერთს ევედრებოდა და მანაც „დავითის ღლეთა შემცირებითა სრულ ყო“ მამის სურვილი.

წყარო 6

„...ზოგი ამბობს, რომ (ის მოკლულ იქნა) სუმბატ და ივანე ორბელიანების მზაკვრობის შედეგად, რადგან მათ ადვილას დააყენა თირქაში. ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან, რომ ის დანიშნავდა (მათ) მხედართმთავრად. გიორგიმ მიიღო სამეფო გვირგვინი 605 (1156) წელს.“

ვარდან არველცი.

წყარო 7

„...ღიღმა შურმა მოიცვა ისინი (დიდებულები), განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, დაალევინეს მას (დავითს) სასიკვდილო საწამლაკი და მოკლეს მეფე დავითი. მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქართველთა და სომეხთა ქვეყნები.“

მხითარ გოში, სომეხი ისტორიკოსი

დავით V-ის შემდეგ ტახტზე ისევ დემეტრე დაბრუნდა და თვითონვე აკურთხა მეფედ გიორგი.

კითხვები

1. როგორ ახასიათებს წყარო 4 და 5 დავით V-ს?
2. როგორ ფიქრობ, რამდენად სარწმუნოა წყარო 6-სა და 7-ში გადმოცემული ინფორმაცია?

დავალება

1. რამდენად გამართლებულად თვლი დავით V-ის გადაწყვეტილებას სომხეთში აღედგინა სამეფო ხელისუფლება? გაიხსენე დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება შემოერთებული ქვეყნებისადმი.
2. დაახასიათე დემეტრე I, როგორც მონარქი და როგორც პიროვნება.